

ღმგა გოგონებოძე

სხე მგონის სწოვსზე
ყყნავ.....



ინგა გოგიბერიძე
Inga Gogiberidze /Инга Гогиберидзе

მინიატურები და ეპიტაფიები
Miniature e epitaffi / Миниатюры и Эпитафии

ქართულ, რუსულ და იტალიურ ენებზე

ასე მგონია არფაზე უკრავ...

ბათუმი-2015 წელი

რედაქტორი - თარგმანი რუსულ ენაზე ეკუთვნის მწერალ მაია მახარაშვილს.

თარგმანი იტალიურ ენაზე ეკუთვნის პოეტ მიელი თურმანიძეს და მუსიკოსს ნატო ორაგველიძეს.

ავტორი უდიდეს მადლობას უხდის მთარგმნელებს უანგარო თანადგომისათვის.

კომპ. უზრუნველყოფა-ნანა ჩიკვაძე.

© ISBN-978-9941-0-8328-0

დაიბეჭდა: შპს „თეგი“

ქ. ბათუმი 2015 წელი

ჩემს მკითხველებს!!

გამოვფინე - ჯოკონდას ღიმილი. მარგოს ყვავილების თაიგული.

გამოვფინე - შიშველი გული. შიშველი სხეული.

გამოვფინე-თეთრი ქათქათა ზენარი, ოქროსფერი ლაქებით.

.....გამოფენა!!!!

ავაფრიალე დროშა

და თავად წავედი ამ უცნაური გამოფენის სანახავად იქ, სადაც ხალხი ირევა.
დედამინა ტრიალებს.

მუდამ თქვენი ინგა გოგიბერიძე

ერთი თვისება აქვს მინიატურას - „ავტორსა კითხულობ“ ავტორისივე სიტყვებით. კიდევ არის მრავალსახეობა ალევგორიისა და ალთქმის სხვადასხვაობა. ერთნი კითხულობენ ნაწარმოებს „კადრის ეფექტით“ და მხოლოდ იმას ხედავენ, რასაც სიტყვები ხატავენ ფურცელზე, მეორენი სიტყვებს მიღმა შექრდილებით ამოტვიფრულ ქარაგმას, ორნამენტებად რომ კვეთს ავტორის კალამი. ქალბატონ ინგას მინიატურებს აქვთ სწორედ ეს თვისებები. ...მარტივად იკითხება? ...ასე გგონიათ?- „ხო“, დამეთანხმებით უცილოდ, თუმცა მის ნაწერებს კითხულობ და ავტორის კრედოსა ხედავ, კაცთა მოდგმის მუდმივ ღირებულებებს „მივიწყების მტვერს“ რომ გადასწმენდს და პირველყოფილი მშვენიერებით რომ მოხიბლავს მკითხველს. ეს წიგნი შენთვისაა მეგობარო. გთხოვ, სქელტანიან წიგნებს შორის ნუ მიუჩენ ადგილს შენს წიგნების თაროზე, ახლოსა გქონდეს, ხედავ რა პატარა და სათნოა!... წაიკითხე... წაიკითხე და ჯადოსნობის გარეშე ზღაპრის თანაზიარი გახდი!

გიორგი აღნიაშვილი-პროზაიკოსი.

ინგა გოგიბერიძის ეპიტაფიებზე მიუხედავად იმისა, რომ ეპიტაფია ფართოდ გავრცელებული სალიტერატურო ფორმაა, რომელმაც საფლავის ქვაზე სახობტო წარწერის გარდა, პაროდული ფორმაც მიიღო და რომელსაც ხშირად ცნობილი მწერლებიც მიმართავდნენ და მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ლიტერატურაში გვაქვს ეპიტაფიის საუკეთესო ნიმუშები, დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი ეპიტაფიიდან დაწყებული - შოთა ნიშნიანიძისა და იოსებ ნონეშვილის ეპიტაფიებით დამთავრებული, მაინც ვფიქრობ, რომ ინგა გოგიბერიძის „ეპიტაფიები“ გარკვეულწილად ცალკე მდგარი პოეტური ნაწარმოებებია, რომლებსაც თვითმყოფადად, ობიექტისგან მოშორებით შეუძლიათ სიცოცხლის გაგრძელება. „დანა, რომლითაც ვატყავებდი საქონელს, ისეთივე ბასრი გახლდათ, როგორიც ადამიანთა ენები, საქონლის ხორცის საყიდლად მოსული და მოლაპარაკე“, „ასე იჯექ უნაპირო სევდასთან, სიღარიბესთან, ორ ლუკმა შიმშილთან და მოუნელებელ ტკივილთან ერთად“, „ავაშენე პატარა სახლი უაგუროდ, უწყლოდ, მხოლოდ ქვიშით და სიყვარულით, რომელსაც ვაზავებდი მარილით, რომელიც მოჰყვებოდა ჩემს ოფლს და მტვერით“ - და ა.შ - ეს ყველაფერი მოწმობს იმას, რომ ამ ტექსტებს პოეტური სიცოცხლის გაგრძელება კონკრეტულ და ვიწრო ჭრილში კი არა, ფართო, ობიექტისგან განწყენებულად, ფასეულობათა ღირებულებით შეუძლიათ, რაც ძალიან დიდი გამარჯვებაა და რასაც მთელი გულით ვულოცავ ავტორს!

კატო ჯაგახიშვილი

ქ-ნ ინგა გოგიბერიძის ნაშრომებს ერთი გამორჩეული თვისება აქვს: მცირე, უმნიშვნელო დროის მონაკვეთში თავის უნიკალური მსოფლმხედველობით, პოეტური სარკაზმით, შეძრას ადამიანი. ეს ის ჯადოსნური ჯოხია, რომელითაც ავტორი ჩვენს თვალწინ ბოროტებას სიკეთედ გვიქცევს, სიძულვილს სიყვარულად, სიბნელეს სინათლედ. მუდმივი მცდელობაა გარეწარში ადამიანის ძებნის და არა პირიქით. ეს უსულო საგნების ცოცხალი მატერიზაცია და მათთან ურთიერთობის ესთეტიკაა. შეუცნობელი ელექსირით სულჩადგმული, ლირიულ -ფილოსოფიური ხელოვნების საიდუმლოება, რომელიც არც სიზმარია, არც ცხადი, თუმცა მაინც სინამდვილეა. სინამდვილე ავტორის სიღრმისეული გე-მგრძნობიარე, სულიდან ჩვენთვის ლიტერატურულ - „პროზად პოეზიაში“ გადმოტანილი. ეს თქვენი წიგნია! გადაშალეთ ის და უსმინეთ მაგიური სამყაროს გონიერ და გემოვნებიან მუსიკას სისადავით და ლაკონიზმით მოვარაყებულს სიტყვებში. და თქვენ გაიგონებთ თქვენსავე ხმას: „ასე მგონია არფაზე უკრავთ“ ...!!

მამუკა ესაძე

ფეხებზე ქალამნები მოირგო. გულში სევდა ჩაიწერა, ხელში რკინის ჯოხი დაიჭირა და ცხოვრება ტომარად მოიგდო მხარზე. მხარზე, რომელსაც მისი ოჯახის წევრები ეყრდნობოდნენ. მხარზე, რომელსაც სატკივარი და სიხარული ერთად მოჰქონდა და ახლა კი სადღაც შორს მიდიოდა, სხვა ქვეყანაში, უცხო მხარეში, სადაც ზეცა ცისფერი აღარ იქნებოდა, მთები მწვანით შემოსილი, ზღვა შავი, უთქმელი და უტყვი.

მიდიოდა გზაზე. ფეხებზე კვლავ ქალამნები მოირგო. გულში სევდა ჩაიწერა, ხელში რკინის ჯოხი დაიჭირა და ფიქრებით სავსე ტომარა მხარს არ უმძიმებდა!



მინიატურები

შეიშალა სამყარო. ქალაქი დაყრუვდა. ასფალტიდან ამოსული ცეცხლის ენები გზას ვერ იგნებენ... ყრია ასე მიმოფანტული გონება, ენა, ყური, თვალი... სხეულის სხვადასხვა ნაწილები სხვადასხვა ადგილებზე.....

შეიშალა ქალაქი... დამშვიდდა სოფელი..... იქ ყური და თვალი მიწას მიებარა და აღმოცენდა გონება სხვანაირი... შეიშალა სამყარო.

წამოვიდა ცისფერი ყვავილების წვიმა, მაშინ როდესაც ვარდისფერი უნდა წამოსულიყო... გაიყინა გული მაშინ, როდესაც წითელი სისხლის ბურთებისაგან უნდა ანთებული და ბეცაში გაფრენილიყო...

შეიშალა სამყარო, შეიშალა... მე კი შეშლილი ვდგევარ და ვერ ვხვდები, რომ სამყარო შეიშალა: ვისთვის ცისფერი წყალი ვარდისფერია, ცისფერი ბეცა ყავისფერი, შავი ზღვა წითელი, ყვითელი მზე მწვანე და ნათელი მთვარე ბნელი... .

შეიშალა სამყარო შეიშალა.....მე კი ისევ შეშლილი ვდგევარ და ვერ ვხვდები რომ სამყარო შეიშალა.

სამშობლო

როგორ აღმოვაჩინოთ საკუთარი თავი? გამიგონია, რომ ყველა ერისგან განსხვავებით ქართველს უჭირს უსამშობლობა, ყველაზე მეტად ქართველი კაცი არის დათრგუნული ნოსტალგიით. ეს საკუთარ თავზე გამოვცადე და ნამდვილად ვიცი, რომ უსამშობლოდ სხვის სამშობლოში ყოფნას ციხე ჰქვია, რომელსაც ყველა კარი ღია აქვს და გამოსვლა არ შეგიძლია, სუნთქვა არ შეგიძლია, შიგ დარჩენაც არ შეგიძლია და ეძებ გზებს ჩემსკენ სავალს, შენსკენ სავალს, უფლისკენ სავალს....ორი ადგილი არსებობს დედამიწაზე, სადაც ყველაზე მეტად გჭირდება უფლის დახმარება... ეს მაშინ ხდება ალბათ, როცა ციხეში და როცა უსამშობლოდ ხარ.... და როცა არც სამშობლო გყავს გვერდით და არც ის ადამიანები, რომლებიც შენთვის ამ ქვეყანაზე არსებობას ძვირფასად თვლიან, თუ ნამდვილი ქართველი ხარ, კიდევ უფრო გიძლიერდება სურვილი იქართველო, კიდევ უფრო გიძლიერდება სურვილი იმდერო უცხო ქვეყანაში - „დარიალს რომ მოადგები მაღალ მთის კარებს, იქ იწყება დალოცვილი ეს ჩემი მხარე, ჩემი ტურფა საქართველო“... კიდევ უფრო გიძლიერდება სურვილი, თაფლი წაისვა ცოტნე დადიანივით და შენი სითბოთი, თუნდაც ტკბილ - მწარეთი, ეძებო ჩემსკენ, შენსკენ და უფლისკენ სავალი გზები.



РОДИНА

Как обнаружить себя? Слышала, что в отличий от других народов, грузину трудно жить без Родины. Больше всех грузина гложет ностальгия. Это чувство не чуждо мне, я точно знаю, что жизнь на чужбине тюрьма, двери которой распахнуты, но выйти оттуда невозможно, невозможно ни дышать, ни оставаться внутри. И начинаешь искать пути ко мне, к тебе, к всевышнему... на земле существуют два места, где человек наиболее нуждается в божьей помощи. Это происходит тогда, когда находишься в тюрьме или теряешь Родину... и когда остаёшься без Родины и людей, которые дорожат тобой ты, как истинный грузин, с особым усердием пытаешься выявить истинную сущность своей нации, усиливается желание петь грузинские народные песни и невероятно хочется облиться мёдом, как Цотнэ Дадиани и своей сладко-горьковатой душевной теплотой искать пути ведущие ко мне, к тебе, к Господу.

თარგმანი ლალი სულაბერიძის.

PATRIA

Come trovare se stessi? Avrai sentito che, a differenza di altre nazioni, per i Georgiani è difficile vivere senza patria. Soprattutto i Georgiani sono rosi dalla nostalgia. Tutto questo l'ho vissuto in prima persona, so con certezza che, vivere senza patria nel paese di altri, significa essere in galera, che ha tutte le porte aperte, anche se non puoi uscire, non puoi respirare, non puoi nemmeno restare e cerchi la strada verso di me, verso di te, verso l'Onnipotente. Al mondo esistono due posti, dove le persone sono più bisognose dell'aiuto di Dio. Questo accade quando si è in carcere o si è lontani dalle proprie radici. Quando si rimane senza patria e le persone che per te apprezzano il loro esistere al mondo, se sei un vero Georgiano, hai voglia ancora di più di mostrare la tua nazionalità, hai voglia di cantare le tue canzoni popolari, vuoi cantare: "Quando arrivi alla porta di Dariali, lì comincia la mia benedetta, affascinante patria...". Hai una voglia fortissima di rovesciare addosso il miele come Tsothe Dadiani e con il tuo calore dolce-amaro dell'anima, cercare la strada verso di me, verso di te, verso l'Onnipotente .

ავტობორტრეტი

- ჩააქრეთ შუქი, აანთეთ სანთლები, ჩემმა შვილმა ლექსები უნდა წაიკითხოს!- ამბობდი შენ დედა.

- აანთეთ სანთლები, ჩემმა შვილმა მინიატურები უნდა წაიკითხოს! - ამბობ ეხლა შენ.

- არ ჩააქროთ შუქი, მეშინია კარის ჭუჭრუტანიდან არ გაიპაროს ჩემი და შენი სიყვარული. არ ჩააქროთ შუქი. ერთი პატარა გასასვლელიც ეყოფა მის გადაადგილებას დროსა და სივრცეში. სივრცე ხომ უსასრულოა, დრო კი დაუდეგარი. ისე მიიპარება ორივე, არაფერს გვეკითხება. მე კი ჩემს პატარა ადგილას, ჩემს პატარა გრძნობებს ვუვლი და ვეფერები: დილით მოვრწყავ ისე, როგორც ყვავილებს რწყავენ. შუადღით ლექსებით ვკვებავ, ხოლო საღამოთი არაჩამქრალ შუქს თავიდან ვანთებ და დიდ, გრძელ რომანებს ვუკითხავ, სადაც სიყვარულს დასასრული არ უჩანს, ისე როგორც შახერებადას ათასმეერთე ზღაპარს. სწორედ დროისა და სივრცის უსასრულობა მეხმარება, რომ უშუქობაშიც კარგად დავინახო იგი, სკივრში შენახული და ჯადოსნური ჯაჭვით შემოხვეული. შემიძლია გავანთავისუფლო. ყვავილებით და პეპელებით მოჭედილ პატარა ჩემოდანში შევინახო, რომლის საკეტი გაფუჭებულა, მაგრამ რა ვიცი, მეშინია და იქაც არ ვინახავ. ხომ შეიძლება ერთხელ ისე ჩაიკეტოს, რომ ვერსადროს ამოვიყვანო იქიდან და მერე უნდა ველოდო მთელი ცხოვრება ალაღინის ლამპიდან ჭინის განთავისუფლებას. არ ჩააქროთ შუქი. რა იცი, იქნებ ფეხი წამოიკრა უშუქობაში და ჩვენს სიყვარულს დაადგა გულზე ...ისე დაადგა, რომ გასრისო, მოკლა , დაანაწევრო, გაფანტო და მერე არაფერი ეშველოს... ასე რომ, არ ჩააქროთ შუქი, ენთოს იგი დღეც და ღამეც. შუქს თანდათან მოემატება სინათლე, გათბება დრო და სივრცე, ამოივსება კარის ყველა ხვრელი, საიდანაც სიყვარულს შეუძლია გაპარვა და ვიქნებით მთელი ცხოვრება ასე - სინათლეში.

არ ჩააქრო შუქი, მეშინია დედა!

-ნუ გეშინია შვილო! მე აქ არა ვარ!-მპასუხობ შენ.....

ნუ გეშინია დედა! დედამინაზე რამდენჯერ ნათქვამი ეს ფრაზა წამომიტივიტავდა ღამის ფიქრებიდან. ნეტავ საიდან მოდის შიში, რომელსაც შვილი ვერ ძლევს დედის გარეშე. ალბათ მუცლად ყოფნის პერიოდიდან. იმ პერიოდიდან, როდესაც ჭიპლარით გადახლართული ორი ორგანიზმი ერთად სუნთქავს, ფიქრობს, უსმენს და ერთად ამროვნებს კიდევაც. ალბათ ეს ჭიპლარი იმ ხვიარებს და ლიანებს გავს ტროპიკულ ტყეებში, გზა რომ გადაუკეცია და თუ არ ამოძირკვე ან ამოჭერი ძირფესვიანად ვერაფრით ვერ გაივლი. შეიძლება ეს ჭიპლარი საცალფეხო ბილიკს ჰგავს, სადაც მთელი ცხოვრება დადიხარ და დედის ხმა გესმის უკან-ნუ გეშინია დედა! შეიძლება ეს ის დროა, დრო, რომელსაც ვერ შეაჩერებ. საათის ისარივით ვერც წინ და ვერც უკან გადასწევ. აბა რას მივხდები დედა! მე ხომ ჯერ კიდევ შვილი ვარ და დედის ხმა ისევ ჩამესმის - ნუ გეშინია დედა. არა, არ მეშინია, არაფრის არ მეშინია დედა, გპასუხობ ყალბად... სინამდვილეში კი მეშინია, ყველაფრის - ქარის, წვიმის, მზის, მთვარისაც კი და უვარსკვლავებო ცისაც. ქარი საშინლად მიწნავს თმებს, მცივა....მეშინია მშემ არ დანვას და დაფერფლოს ჩემი სხეული. წვიმა? ისიც არ მომწონს. ყველაფერს ასველებს. ფეხსაცმელები უშნოდ ჭყლაპუნობენ და სასტიკ ხმებს გამოსცემენ. აბა დააკვირდით? ასეა კი... მაშინაც მეშინია, ცას რომ ავხედავ და ვარსკვლავების ნაცვლად, რამდენიმე დამხვდება. ისინი ხომ მკრთალად ანათებენ და სულამდე არ აღწევენ. კი, მეშინია, მაგრამ გათენებას ვუციდი. მთავარია, მართლა არ შემომეპაროს ეს შიში შორიდან. ჩემს გულში არ გაიდგას ფესვები და შიშის თვალებით არ შევხედო დილის გათენებას. ნუ გეშინია დედა-მეუბნები შენ! მალე გათენდება! მალე განათდება სამყარო და დაინახავ, რომ ყველაფერი, ყველაფერი კარგად იქნება!

-არ მეშინია, მაგრამ მაინც ჩამჭიდვ ხელი, ბავშვობაში დამაბრუნე. ერთად წავგიყვანეთ შენ და მამამ სოფელში, ბებოსთან. მოიცადე დედა, წამალი უნდა დავლიო, თორემ ისეთი წითელი პეპლები დამაყრის, გეგონება წითელა ბატონები შეეყარა გზაზეო... ჰოდა, როცა იქ ჩავალთ, გამახსენდება, რომ ჩვენი სოფლის ეზოში, ხის სამზარეულოა, სადაც ბებოს შუა ცეცხლი ედგა და რასაც კერია ეწოდებოდა. მგონი ბაფხულობით, მუსტად არ მახსოვს, აბრეშუმის ჭიის ლაბირინთად იქცეოდა. იქამდე კი ჩვენი ყველაზე საყვარელი ადგილი იყო. ჭადის ფქვილის დიდი ხის სათლი, ინდაურების ყუთი ცოცხალი ჭუკებით, დერგი ყველით სავსე და ობობას ქსელი ერთ კუთხეში.

სიტბო, რომელიც ბაფხულში საერთოდ არ გვჭირდებოდა, შუა ცეცხლიდან მოედინებოდა. ჩვენ ხომ მაინც აქ მოვრბოდით, გვანტერესებდა, რატომ უხარშავდა ბებო ჭუკებს ჭინჭრისგან ფხალს და არ აჭმევდა სიმინდს, როგორც სხვებს. გვანტერესებდა, როგორ დუღდა რძე, რომელსაც ჩვენი საყვარელი ნიკორა გვაძლევდა.

არ შემიძლია იმის ახსნა, საიდან მოდიოდა თბილი სიტყვების კორიანტელი, რომელსაც ქეთო ბებო არ იშურებდა ჩვენთვის. საუბრე?! ფაფა, ყველი, ხაჭაპური და რა

გინდა სულო, გულო... დიახ, მთელ მსოფლიოში ვერავინ ნახავს და ვერავინ შეწვავს კარტოფილს ისე, როგორც ჩემი ბებო! (მაგდონალდის „ფრი“ ხომ სასაცილოა მასთან შედარებით)- მას ვარსკვლავი ეწოდებოდა. ვარსკვლავი კი თითო კარტოფილის ღერს ერთი გულიდან აწყობდა და ისე აერთიანებდა, რომ ნახაბი მზეს ქმნიდა, კარტოფილები კი მზის სხივები იყვნენ. მერე ჭამის დროს, ისე მოიქცეოდი როგორც გინდოდა-თუ გინდოდა ხელში დაიჭერდი, როგორც მზეს და ისე მიირთმევდი, გინდოდა სხივებს ნელ-ნელა, ნება-ნებით შესანსლავდი.

ალბათ, ამიტომ არის ჩემს გულში შემოჭრილი ამდენი ვარსკვლავის ნათელი, აქედან მოდის ჩემი სიყვარული მზის, მთვარის და ციციანათელებისა. მაგრამ ჭია? აბრეშუმის ჭია როგორი იყო?! არ გამახსენოთ. შიში მიპყრობდა. მაინც ვიჭყიტებოდი, როგორ სანს-ლავდა პატარა მატლი მწვანე თუთის ფოთლებს, თანაც გრძელ-გრძელი ძაფების დასა-ბადებლად ემზადებოდა. ეს კრემისფერი ჭია აბრეშუმის ძაფად უნდა გადაქცეულიყო.... მე კი ვიპარავდი, ვიპარავდი პატარა ოვალურ აბრეშუმის პარკებს, ბურთებს რომ ჰგავდნენ და სითბოთი ვათვალთვლებდი. ვხედავდი, აბრეშუმის გულში, შიგნით, როგორ იქმნებოდა სიყვარულის ისტორიები, როგორ იბადებოდა პატარა ნიკორა ბოსელში, როგორ იპარავდა ქორი ქათმებს ეზოდან, რომელსაც ჩვენი ძაღლის, ჯუღბასას, ხმამაღალი ყეფაც ვერ აჩერებდა, ქორის დაუოკებელი შიმშილის სურვილს აღსას-რულებლად. როგორი ხმით მოჩქეფდა ხევის წყალი... და საიდან, საიდან მოდიოდა ძაფების ლაბირინთი, რომელშიც მთელი ცხოვრება იყო ჩახვეულ-გადახლართული. შემდეგ გამოვაძრობდი: გაწვანავდი, გაწვანავდი და დავაშორებდი ერთმანეთს... მაშინ ვერ ვხდებოდი, რომ აქაც, ჩემი ბებოს ცხოვრება იყო ჩანერილი, უბრალო, როგორც ხის ჭვარი. ნათელი, როგორც ქალის მანდილი. ისტორია განსხვავებული და მხოლოდ სიყვარულით საგსე. ამიტომაც გიამბობთ დანვრილობით ამ ამბებს, რომლებმაც ჩემი ცხოვრების ისტორია დაწერა. დაწერა, როგორ გავდიოდი საცალფეხო ხიდზე. გზა უცხო ჩანდა. საცალფეხო ბილიკი კი მყარი. კი, შორიდან მოვდიოდი, მაგრამ ყველანაირი ხიდი, ჩემი მოკლე ნაბიჯებით გაბომილი მქონდა. ეს ერთი საცალფეხო ხიდი და მარჩენოდა გადასასვლელი. საცალფეხო ხიდი, მთის ერთი მწვერვალიდან მეორე მწვერვალამდე გადაჭიმულიყო. მწვერვალები ძალიან განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან - თუ ერთ მხარეზე მზე ანათებდა, მეორე მხარე ბურუსით მოცული იყო. ხიდი, რომელიც გრძელ, უზარმაზარ ქვეწარმავალს მოგაგონებდათ, ჭრელი იყო, როგორც ჩემი ცხოვრება და რთული, როგორც ათუცნობიანი განტოლება. საცალფეხო ხიდი ხის პატარა ნაჭრებისაგან იყო შეკერილი და ქარიშხლის დროს ზევიდან ქვევით ირწეოდა, სიოს შემთხვევაში კი მარცხნიდან მარჯვნივ... შევუდგებოდი ამ გზას სიმაღ-ლისაკენ ნანატრი გულისთქმის აღსასრულებლად, თვალებს დავხუჭავდი, რომ არ და-მენახა კლდის ქიმები, კენჭები, ქვები, რომლებიც მწვერვალისაკენ მიმავალ გზაზე მხვდებოდა და მოფრინავდნენ ყველა მხრიდან, როგორც უცხო ხმები და უცხო ჩიტები. თვალს რომ გავახელდი, მზე შემომციცინებდა, სიცხე თვალის გუგებს გამიფართოვებდა და უკე-

თესად დავინწყებდი ცქერას. ასე, ამ გზით ვიარე დიდხანს. მიუხედავად იმისა, რომ ხიდი საცალფეხო იყო, სწორედ ის აღმოჩნდა ყველაზე მყარი და გრძელი ჩემი ცხოვრების გზაზე. სწორედ ამ ხიდზე გავლისას ვფრთხილობდი, ძალიან ვშიშობდი ფეხის დადგმას. ვცდილობდი ისე გამეფლო, სიოსაც არ შევხებოდი და არ დამერწია ცხოვრების საცალფეხო ბილივი. საცალფეხო ხიდი კი თავისით ირწეოდა და არჩევდა ჩემი ცხოვრებიდან ყველა ისტორიას- ზოგს ადუღებულ კუპრში ყრიდა, ზოგს ოკეანისკენ მიაქანებდა ზვიგენტა საკბილოდ, ზოგს კი არსად არ უშვებდა და მთელი ცხოვრება მასთან ტოვებდა საცალფეხო ბილიკზე, გულში იხუტებდა და ხიდის ოდნავი შერხვევის დროსაც კი ხელს არ უშვებდა!

არც შენთვის გამიშვია ხელი არასოდეს ჩემო განუყრელი მეგობარო! შენ!

შენ ხარ ჩემი ცხოვრების ისტორიის მომქარავი. შენ! მიყვარს შენთან მოსვლა. ოთახში ნივთები კვლავ სისპეტაკის სუნით და პეჩით პრიალებენ. ავეჯი და სურათები ძველია, ჩარჩოები ახალი, ნიღბები კი მიგიმატებია. ალბათ იფიქრე, უნიღბოდ ცხოვრების გავლა როგორ შევძელიო და როგორც აქსესუარი, ამიტომაც დაიმატე. აბა, ნიღაბი, ხომ არასოდეს გიტარებია-შენი თვალებიდან ყოველთვის ცისკრის ვარსკვლავი ანათებდა, სიმართლე და კეთილგონიერება გამოსჭვიადა. არც ერთი დღე არ ყოფილა, ვინმეს, გზის გაკვალვაში არ დახმარებოდი. ზოგჯერ სხვებს შენ, მუდმივად „უნიღბოდ მყოფი“, ნიღბიანი ეგონე, რადგანაც არ სჯეროდათ, თუ მართლა შეიძლებოდა უანგაროდ ვინმეს დახმარება. შენ.... მიყვარს შენთან მოსვლა. ლარნაკები, რომელიც მუდმივად ყვავილებს ელოდებიან, ზოგჯერ ცარიელია. მე რომ მოვალ, მაშინ ისინი იასამნებით, ყოჩივარდებით და გვირილებით ივსება. ამით გაზაფხულის სურნელი მამთარშიც დატრიალდება და დაბზრიალდება ოთახში წარსული დღიურების ფურცლები-ჯერ როგორც გრიგალი, ისე წამოვა თეთრი ფურცლები, მერე თოვლი ამ ფურცლებზე თეთრ წარსულს ჩაწერს, შემდეგ მოვარდება წვიმა და თქეში და ყველაფერს წაშლის.და განა წვიმა ყველა ნაკვალევს შლის? როგორც წელიწადში ერთხელ მდინარე იორდანე ჩერდება და რამდენიმე წუთით საპირისპირო მიმართულებით იწყებს დინებას, ისე საპირისპიროდ მიედინება ყველა შენი გზა, ჩერდება ყველა შენი ფიქრი და აზრი. შენ... ამიტომაც, კიდევ უფრო მეტად მიყვარს შენთან მოსვლა. შენგან ხომ მუდმივად ჩემს ნავსაყუდელში ვბრუნდები, იქ სადაც ჩემი ოჯახის სითბო მხვდება. იქ ხომ ყველაფერი ჩემია. კარებს იმ გასაღებით ვაღებ, რომელზეც ერთი რგოლი ჰკიდია და რომელიც ჩემმა შვილმა გადმომცა. მას არ სჭირდებოდა და იმიტომ.....ადრე კი რგოლი, რომელზეც ერთი გასაღები და ლითონის ვარსკვლავი ეკიდა, სულ თან დაჰქონდა. ეგონა, კიდევ შესძლებდა ამ გასაღებით იმ კარის შეღებას, რვა წლის წინ ფრთხილად რომ შეაღო და თავისი ფიქრების სახლი შეარქვა. სახლი, რომელშიც ის ცხოვრობდა, სახსე იყო სხვადასხვა ნივთებით: კედლები სპეციალურად ლურჯ ფერზე შეღება, ნათლად რომ შეაღო და თავისი ფიქრების სახლი შეარქვა. სახლი, რომელშიც ის ცხოვრობდა, სახსე იყო სხვადასხვა ნივთებით: კედლები სპეციალურად ლურჯ ფერზე შეღება, ნათლად რომ გამოჩენილიყო, რასაც ჩამოჰკიდებდა- ავტომობილის საბურავები, რკინის სახელურები, ლითონის ფურცლები და ფიზიკურად მყარი სხეულები, მარჯვენა კედელზე იყო

დამაგრებელი. წიგნების თაროები, რომლებიც ჭერამდე აღწევდა, მარცხნივ, ისე, რომ ერთმანეთს, პირისპირ უყურებდნენ. გაივლიდა ერთი ლამაზი დღე და წიგნი შეემატებოდა მარცხენა კედელს. მოვიდოდა განსაცდელი და ლითონის ფურცელი გამოიჭედებოდა გრდემლიდან. ასე გადიოდა დღეები და ივსებოდა კედლები, სანამ არ მოფრინდა სიყვარული, რომლის ადგილიც მხოლოდ ოთახის ჭერში მოიძებნა. დანვებოდა და ფიქრობდა. ეს ფიქრები კი მისით იკეთებდნენ ბუდეს, ჩიტის ფრთებით ემაგრებოდნენ ჭერს. ფრთები ეს ბუმბულისა, ნაირფერი გახლდათ: წითელი, ცისფერი, იასამნისფერი, ყვითელი და ყველა ფერისა, რომელიც ზოლად მიჰყვება ფარშევანგის ულამაზეს კუდს. ჰოდა, გაშლიდა ფარშევანგი კუდს და გაფრინდებოდა მისგან სევდა და ნალგელი, შორს არარსებულ სამყაროში. იქ სადაც მხოლოდ სევდის სახლია. დაკეცავდა ფარშევანგი კუდს, ჩამოვარდებოდა კუდიდან ერთი ბუმბული და ახლა ის აფრიალებდა სიხარულს და სიყვარულს. ფიქრობდა, როგორ შეიძლება ადამიანი, ერთნაირად ბედნიერი იყოს, როცა ყველაფერი აქვს და როცა ამ ყველაფრიდან მხოლოდ ერთი პანაწინა ბუმბულია დარჩენილიო. და ასეც იყო. ბედნიერება ხომ ჭერში იყო დამაგრებული და არსად არ დადიოდა-მის კარებს გასაღები არ **ჭირდებოდა**, მისით იღებოდა ყოველ დილა-საღამოს, თუმცა ჩაკეტილიც არ ყოფილა არასდროს! არც მე ჩამიკეტავს ჩემი გულის კარები არასდროს, ამიტომაც ავიღე და სიყვარულის შარფი მოვქსოვე-გრძელი, უნაპირო და უსასრულო.... ჩემი ოჯახის წევრებს სათითაოდ ყელზე შემოვახვიე... მაგრამ თავიდან, როცა სიყვარულის შარფის მოქსოვა ჩავიფიქრე, ძლივს ამოვაძრე მზისფერი დიდი გორგალიდან ძაფის წვერი და პირველი თვალი ამოვიყვანე. ჩხირები, რომლითაც ქსოვა დავიწყე გრძელი, ვერცხლიფერი რკინის ჯოხები იყო, დაბოლოებად კი პატარა ბურთები ჰქონდა, ნაქსოვი რომ ხელიდან არ გამსრიალებოდა და არ გაპარულიყო. ძნელი დარჩა პირველი ათი რიგის ამოყვანა... ამოვიყვანდი სიყვარულის თვლებს, ჩხაკი-ჩხუკი იძახდა ჩხირები უჩუმრად, მაგრამ ხმაურით. მინდოდა ჩუმად მექსოვა სიყვარულის შარფი, მაგრამ რკინის ჩხირებმა არ მომცა საშუალება სიჩუმეში ყოფნის. სიყვარულის შარფის ძაფებიდან და საჩხაკუნო ჩხირებიდან ისეთი ხმები გამოდიოდა, გეგონებოდა ფოლადი იწრთობაო. რამდენ თვალს და რიგს ამოვიყვანდი, იმდენი სასიამოვნო ჩხაკი-ჩხუკი იღვრებოდა ჩემს სულშიც. ქსოვა დიდ დროს მოითხოვს, მაგრამ კარგი განცდაა. მხოლოდ ამ ხელსაქმესთან შეგიძლია განმარტოვდე და შენი გრძნობების გორგალი თავად მოქსოვო, გინდა ათი რიგის მოქსოვის შემდეგ სულაც გადადო და კარადაში შეინახო. ხომ იცი დასამთავრებელი რომ გაქვს შარფი, გული კი მაინც სიხარულით სავსე!

-მოვა დრო და მივუბრუნდები შარფს, გაიფიქრებ და ყოველდღიურობაში გადახვალ. შარფი კი დევს მართოდ მართო კარადაში და თავის რიგს ელოდება.

- მომბებრა ამ რკინის ჩხაკუნმა თავი! რკინის ჩხირებს ხის ჩხირებით შეცვლი. ხე შენთან ერთად სუნთქავს, გრძნობს შენს მოძრაობებს და მოგყვება ისე, როგორც სიყვარულის გორგალი, ძაფი ახლა უფრო ადვილად ამოდის გორგალიდან, თითქოს ისეთი მრგვალიც აღარ არის თავიდან რომ იყო. ისევ გვერდზე გადადებ სიყვარულს.

-ვერაფერს მიმხვდარხარ. არადა სულ შენთან გინდოდა, რომ გყოლოდა. კვლავ ყოველდღიურობაში ეფლობი.

-მოვა დრო და მივუბრუნდები შარფს!

შარფი კი დევს მარტოდ მარტო კარადაში და თავის რიგს ელოდება. ელოდება, ისევ როდის ახმაურდება მისი ჩხირები, როდის დატრიალდება სასიამოვნო გორგალი და სიყვარულის ძაფები თავისით გაიგნებენ გზას. სიცოცხლის და სიყვარულის შარფის ქსოვას დიდი დრო დასჭირდა, თითქმის მთელი ცხოვრება, გამოიწროთ იგი ფოლადივით გრდემლში, აღმოაცენა სიყვარულის ნერგები. ყველაფერი ისე მოხდა, როგორც შენ გინდოდა. ...მხოლოდ ის დრო გამეპარა ხელიდან და ვერ მივაგენი, როცა ჩემი შარფის დასრულებისას, ჩხირებზე პატარა ბურთები აღარ იყო დამაგრებული, არამედ ეს ჩხირები საუკუნო რგოლებით იყო შეერთებული და არსად გადავარდნას არ აპირებდნენ. ალბათ ამ რგოლებს ელოდებოდა მიტოვებული შარფი და გორგალი ამდენ ხანს ჩემს კარადაში. ჰოდა, ამიტომაც დავდივარ ან დავფრინავ კიდეც მაღლა-მაღლა ცაში, რადგანაც ვციცი, რომ სიყვარულის შარფი ისეთი ძაფებისაგან მოვექსოვე, რომელიც არასოდეს არ გახუნდება და არ დაიშლება.

А в т о п о р т р е т

-Потушите свет, моя дочь будет стихи читать!

-Зажгите свечи, моя девочка должна прочесть миниатюры! -говоришь ты.

-Умоляю тебя, мама, не туши свет, боюсь, как бы наша с тобой любовь не ускользнула через дверную щель. Не туши свет. Хватит одного маленького прохода для ее перемещения во времени и пространстве. Пространство же безгранично, а время – нескончаемо. Оба утекают втихомолку, не спросясь. А я в своем укромном уголке берегу и ласкаю свои маленькие чувства: утром поливаю их так же, как поливают розы, днем вскармливаю стихами, а вечером снова зажигаю неугаснувший свет и читаю им пространственные романы, где любовь не имеет конца, так же, как и тысяча первая сказка Шехерезады. Именно бесконечность времени и пространства помогает мне даже в темноте хорошо видеть ее, спрятанную в окованный волшебной цепью сундук. Могу освободить ее и

спрятать в осыпанный цветами и бабочками маленький чемоданчик, с преднамеренно мною поломанным и незакрывающимся затвором, но почему-то боюсь и не прячу ее там, мама. Возможно же такое -однажды закроется так, что никогда больше не смогу вызволить ее оттуда и затем жди всю жизнь освобождение джина из алладиновской лампы! Еще раз прошу: не туши свет, мама! Кто знает, может споткнешься в темноте и наступишь на сердце нашей любви?! Да так наступишь, что растопчешь и рассыплешь, а потом нечем будет помочь... Так что, не туши свет, мама! Пусть он горит и днем, и ночью. Постепенно к свету будет прибавляться огонек, согреются время и пространство, закупорятся все те дверные щелочки, откуда может улетучиться наша любовь, и будем мы всю жизнь так -в лучах света. Не туши ты огонек, я боюсь, мама!

-Не бойся, доченька! Я же здесь, с тобою! -отвечаешь ты.

«Не бойся, доченька!» -эта фраза, произнесенная на Земле столько раз, вспомнилась мне размышляя. Откуда же берется страх, который дитя не в состоянии преодолеть без матери? Наверное, с тех пор, когда два переплетенных пуповиной организма дышат, слушают и даже мыслят вместе. Не так ли, мама? Видимо эта пуповина похожа на лианы и другие вьющиеся растения, перекрывающие дорогу в тропических лесах, и без выкорчевки или вырубки которых, невозможно пройти. Возможно эта пуповина похожа на тропу, по которой ходишь всю жизнь, слыша позади: «Не бойся, доченька!». Вероятно это -время... То время, остановить которое невозможно. Его не передвинуть ни вперед, ни назад, подобно часовой стрелке... Разве это можно понять, мама?! Я же пока все еще дочь и снова слышу материнский глас: «Не бойся, доченька!». «Нет, я не боюсь, ничего я не боюсь, мама», -говорю тебе неправду... А на самом деле я боюсь всего -ветра, дождя, солнца, даже луны и беззвездного неба. Ветер страшно растрепает мне волосы. Боюсь, чтобы солнце не глянуло и не сожгло меня, испепелив мое тело. А дождь? И он мне не нравится -все мочит. Обувь безобразно шлепает, издавая ужасные звуки. Ну ка, приглядиись! Разве не так, мама? Да, именно так... Боюсь и тогда, когда глядя в небо, вместо многочисленных звезд виднеются всего лишь несколько, светясь тускло, они не достигают души. Хоть и боюсь, но жду наступления утра. Главное, чтобы этот страх и вправду не пророс в моем сердце корнями, подкравшись издалека, и чтобы не бояться наступающего утра.

«Не бойся, доченька!» -говоришь ты, -«Скоро рассветёт! Скоро мир озарится и увидишь, что все будет хорошо, да не бойся ты, доченька!». Не боюсь, но тем не менее, возьми меня за руку и верни в детство. Вместе с папой заберите нас с сестрой в Вазисубани, к бабушке. Подожди мама, я должна выпить лекарство, а не то покроюсь таким багрянцем из красных бабочек, что может показаться, будто я подхватила пурпурную корь на дороге... Приехав туда, я вспомню, что в нашем деревенском дворе есть деревянная кухня, посередине которой у бабушки горел огонь, называемый очагом.

Точно не помню, кажется летом, кухня превращалась в лабиринт для тутового шелкопряда. А прежде, это было нашим самым любимым местом: большая деревянная бадья для кукурузной муки, индюшачий ларец с живыми птенцами, глиняная кубышка, наполненная сыром, и паутина в укромном уголке. Тепло, исходившее от пылающего огнялетом, не мешало нам прибегать сюда, чтобы узнать, почему это бабушка, для индюшат варила именно крапивные листья, а не кормила их кукурузой, как других птиц. Нас интересовало как кипело молоко, которое давала любимая корова Никора. Не могу объяснить, откуда возникало то облако теплых слов, которое не жалела для нас бабушка Кето. А завтрак?! -Каша, сыр, хачапури и все, что душе угодно... Да и никто в мире не сможет пожарить картошку так, как умела бабушка Кето (по сравнению с ее стряпней мадональдсовская «фри» -просто смехота). «Блюдо» называлось «звездой». А звезду она собирала из отдельных картофельных долек от одной середины, соединяя их таким образом, чтобы вырисовывалось солнце с лучами из долек. Затем, во время еды, блюдо можно было съесть, как хотелось -целиком, держа в руках в виде солнца, или же потихоньку уплетать, смакуя лучики. Наверно поэтому и проникло в мое сердце столько звездного света, отсюда и идет моя любовь к солнцу, луне и звездам. А шелкопряд? Каким же был шелковиный червь? Не напоминайте! Обувал страх, но я все-таки подглядывала, как маленький червь гложет зеленые туговые листья, готовясь к рождению длиннющих ниточек. Этот кремового цвета червь должен был превращаться в шелковую нить, -а я?... Я брала тайкоми с теплотою рассматривала маленькие, овальныешелковиные коконы, которые так были похожи на шарики. Я видела, как рождалась история любви внутри кокона, как рождался в хлевутеленок, как похищал ястреб (которого от утоления неудержимого чувства голода, не останавливал даже громогласный лай нашей собаки Джульбас) со двора кур, как бурлила вода в овраге... И откуда, откуда же исходил лабиринт тех нитей, закручиваясь в которые сплеталась вся жизнь?! Я их выдергивала, трепала и отделяла друг от друга... Тогда я не догадывалась, что даже здесь была начертана жизнь бабушки Кето, -- простая, как деревянный крест, светлая, как женский головной платок. История, не похожая на другие и наполненная только любовью.

--Это я понимаю сегодня, мама!

Поэтому так подробно рассказываю истории, которые повествуют и о моей жизни. Они описывают, как я перебиралась по пешеходному мосту, -по тому мосту, перейти который помогала мне ты. Разве я могла осилить ношу в одиночку?...Дорога казалась неизвестной, а тропа --твердой. Хотя я и шла издалека, но всякого вида мосты уже успела измерить своими мелкими шажками. Оставался один лишь только этот пешеходный мост, который надо было преодолеть. Мост простирался от одной вершины горы до другой. Вершины друг от друга весьма отличались -если на стороне одной из них

светило солнце, то другая была туманной. Мост, который напоминал огромное, длинное пресмыкающееся, был пестрым, как моя жизнь, и хитроумным, как уравнение с десятью неизвестными. Пешеходный мост был сделан из маленьких кусков дерева и во время бури двигался сверху вниз, а при веянии ветерка -из стороны в сторону... Направляясь к вершине, и желая, чтобы исполнились заветные мечты, я закрывала глаза, чтобы не видеть верхушки утесов, камни, обрывки крутых скал, которые встречались мне по пути к вершине, -они окружали меня, как неведомые голоса и заморские птицы. Когда я раскрывала веки, солнце начинало светить в глаза, жара расширяла зрачки и я могла видеть лучше. Так, по этой дороге я ходила долго, несмотря на то, что мост был узким. Именно он оказался самым прочным и длинным на моей жизненной тропе, так как ступая понемногу, я очень опасалась и робела... Я старалась его пройти, уклоняясь даже от малейшего ветерка, дабы не раскатать мою жизненную тропинку. А перекидной мост покачивался сам по себе и перебирал отдельные моменты моей жизни -некоторые из них бросал в кипящую смолу, других мчал к океану на растерзание акулам, а иных всю жизнь оставлял при себе и прижимая к сердцу, не выпускал из рук даже при незначительном покачивании... И твою руку я держала всегда, моя неразлучная подруга! Ты! Ты являешься хранительницей истории моей жизни. Ты! Люблю бывать у тебя. Вещи в комнате по-прежнему пахнут чистотой и сверкают глянцем. Мебель старая, картины в новом обрамлении, только количество масок увеличено. Наверное, подумав о том, как же смогла прожить жизнь без маски, -ты добавила к ним новые, как аксессуары. Как же иначе, -ведь ты никогда не носила маску, в твоих глазах всегда сверкала утренняя звезда и светились правдивость и благоразумие. Не было и дня, чтобы ты не помогла кому-нибудь в проложении пути. Ты, никогда не носящая «маску», иногда другим казалась «в личине», ибо они не могли поверить, что и вправду возможно помочь кому-либо безвозмездно. Ты... Люблю приходить к тебе. Вазы, которые постоянно ждут цветов, иногда пусты. Когда я прихожу, они наполняются сиренью, цикламенами и ромашками. Этим весенним ароматом запахнет и зимой, и закружатся в комнате страницы былых дневников. Сначала налетит вихрь из белых листов, затем снег в эти листья выпшет белоснежное прошлое, а потом хлынет ливень и все сотрется... Да разве дождь стирает все следы?! Ты... Поэтому, все еще больше люблю приходить к тебе. Твой голос и твое лицо чисты, как предметы твоего дома. Твои глаза печальны, строги и теплы. Ты... Люблю бывать у тебя... Как река Иордан в год раз, на несколько минут останавливается и начинает течь в противоположном направлении, так и бегут все твои пути-дорожки в противоположную сторону, издерживаются все твои раздумья и мысли. Ты!... Люблю бывать у тебя, ибо от тебя я постоянно возвращаюсь в свою гавань, там, где меня встречает тепло моей семьи. Там же все мое. Дверь открываю ключом, на котором висит лишь одно кольцо и который передала мне моя дочь. Передала, так как ей он не был

нужен...А раньше, кольцо, на котором висели только ключ и металлическая звездочка, она всегда держала при себе. Ей казалось, что этим ключом она снова сможет открыть ту самую дверь, которую осторожно открывала восемь лет назад. Это была дверь дома, названного ею «домом мысли». Дом, в котором она жила, был полон различных вещей. Стены специально были покрашены в синий цвет, дабы было видно, что на них висит-автомобильные покрышки, железные ручки, металлические листы и устойчивые тела были прикреплены на правой стене, а книжные полки, возвышавшиеся до потолка, висели на левой, --располагаясь друг против друга. На исходе удачного дня к левой стене прибавлялась книга, а при невзгодах на наковальне ковался металлический лист. Так проходили дни и наполнялись стены, до тех пор, пока не прилетела любовь, место которой нашлось только на потолке. Ложилась и раздумывала... И эти мысли, свивая гнезда, птичьими крыльями прикреплялись к потолку. А крылья были из многоцветных перьев: красных, голубых, сиреневых, желтых и всех других цветов, полосой следующих по красивейшему хвосту павлина. Раскрывал хвост павлин, - отлетали от него тоска и грусть далеко, в несуществующий мир, туда, где только «дом печали». Складывал павлин хвост, - и выпавшее из него перо начинало лучиться радостью и любовью. Думала: «Как же это возможно, чтобы человек был одинаково счастлив и когда у него все есть, и когда из всего «этого» остается всего лишь одно малюсенькое перо»? Да так и было. Ведь прикрепленное к потолку счастье никуда не выходило, -- и ее двери вовсе не нужен был ключ. По утрам и вечерам дверь открывалась сама собой, хотя никогда и не закрывалась... Но вскоре, дом потерял очарование, -металлические отрезки заржавели, автомобильные покрышки лопнули, книги больше не источали мудрость, да и хвост павлина все время был сложен, - вот поэтому и достался этот ключ мне. А я ведь тоже мать, мама! Поэтому взяла да и связала шарф любви -длинный, безграничный и бесконечный, обмотав вокруг шеи каждому члену моей семьи... Задумав связать шарф любви, вначале я провязала первую петлю, еле выдернув кончик нити из большого мотка цвета солнца. Спицами, которыми я начала вязание, являлись длинные, серебристого цвета железные палочки, с окончаниями в виде маленьких шариков, чтобы вязка не утекала, выскальзывая из рук. Сложным оказалось вывязать первые десять рядов... Выводила петли любви втихомолку, но шумно, звякая спицами. Хотелось тихонько вязать шарф любви, но железные спицы не позволяли мне находиться в тиши, -- от нитей шарфа и звякающих спиц исходили такие звуки, что казалось, будто закалялась сталь...Сколько бы петель и рядов я не выводила, - столько же приятных звяканий вливалось мне в душу. Вязание требует много времени, но это -ощущение радостное. Только с этим рукоделием можешь уединиться и самой связать моток собственных чувств. Захочешь -и после связания десяти рядов можешь отложить, спрятав в шкаф. Сердце все равно полно радости, хотя и знаешь, что шарф пока еще не закончен... Придет

время, промелькнет мысль, что надо бы вернуться к шарфу -и шагнешь в повседневность. А шарф одиноко лежит себе в шкафу, дожидаясь своей очереди. Подумав: «Надоело звяканье этой железяки!», -и железные спицы заменишь деревянными. Дерево дышет вместе с тобой, чувствует твои движения, следуя за тобой, как моток любви. Сейчас нить легче отходит от мотка, и вроде бы он не такой уж и круглый, каким бывал прежде... Опять отложишь в сторону любовь, ничего не понимая... А ведь желала, чтобы она всегда была рядом. Снова проваливаешься в повседневность. Но, придет время, и снова подумаешь, что пора бы вернуться к шарфу. А шарф лежит себе в шкафу в одиночестве и ждет своей очереди. Ждет, когда же зашумят его спицы, когда же раскрутится моток из приятных желаний и ниточки любви найдут дорогу сами собой.

Много времени понадобилось вязанию шарфа жизни, -почти вся жизнь. Закалился он, подобно стали, и взрастил саженцы любви. Все произошло именно так, как ты и хотела, мама!... Толькоя упустила и не нашла лишь то время, когда к завершению шарфа, к спицамуже не были прикреплены маленькие шарики, удерживающие петли. Но эти спицы были соединены вечными кольцами и пропасть не собирались. Наверное, этих колец и ожидали шарф и моток, заброшенные в моем шкафу столько времени. Вот поэтому и хожу спокойно, иногда даже взлетаю высоко-высоко, -до небес, ибо знаю, что шарф любви я связала из таких нитей, что он никогда не выцветет и не расплетется.



ჩემი ფობიოგრაფია

დარწმუნებული ვარ ეს ნაწერი არავის გამოადგება ამ ქვეყანაზე.

...აბა რა უნდა მოგიტხროთ ადამიანმა, რომელიც მთელი ცხოვრება, ორმოცდარვა წლამდე, 10 საათზე და 30 წუთზე იძინებდა... განა მას დაუჭერებს ვინმე, რომ ღამე უყვარს? რომ მთვარე და ვარსკვლავები მისი ხსნა და იმეღია.სხვა გზა არა გაქვთ, უნდა დამიჭეროთ.

რადგან სწორედ ღრმა ძილში ნახულობდა იგი ისეთ სიზმრებს, თქვენ რომ გაინტერესებთ, ზოგიერთს სისხლს რომ უყინავს, გულს უჩქროლებს და გამოღვიძებას ნატრობს.

10 საათი და 29 წუთია, წიკ-წიკ, წიკნიკებს საათი და და გულის ფეთქვის ხმაც მატულობს. წიკ-წიკ, ტიკ-ტაკ ძილის დროა. ზუსტად ის დროა, დევების სამფლობელოში რომ უნდა გადასახლდე, მათი მყრალი სუნი აიტანო და დილისკენ გამოსავალიც როგორმე მოძებნო.

10 საათი და 30 წუთია - ღამეზე შავი ღამეა. არ მახსოვს სად ვარ.

მთვარე არ ანათებს.

ვარსკვლავები სდუმან.

ჩემით მიინდა გავიკვლო გზა, მაგრამ სიზმარშიც კი დევის სუნი მცემს ისე, დევებს რომ სცემდათ ადამიანის სუნი. გავყევი ამ სუნს და ქალაქის შუაგულში, ცხრათავიანი დევის გამოქვაბულს წავაწყდი. მძიმედ ჩავყევი კიბეს, იმ ნიშანთან შევჩერდი, სადაც ეწერა-ცხრათავიანი დევი. გულმა ბაგა-ბუგი დამინყო. იქნებ ცოცხალია და მისი ბანჯგვლიანი სხეული ისევ ეძებს სიმიდირეს, განძსა და ქალს, რომელსაც, როგორც საკუთარს, ისე ჩაიკემსავს გულში, როგორც საკუთარს, ისე მოიქცევს მის ძლიერ და ყოვლისმღუნ მკვლავებში, მეთქი გავიფიქრე. მერე, რომ მობებრდება გადაუგდებს საკვებად ძმას, რვათავიან დევს. ახლოს მივედი. იცით, მხსნელიც არავინ მყავდა. ზევით ხომ არ დამიბარებია, რომ ქვევით მივდიოდი, მიწისქვეშეთში, იქ სადაც ადრე ცხრათავიანი დევი ცხოვრობდა. ...აქ სხვა შეგრძნებებია... ღამეა უკუნი და იმიტომ ...სუნი? სუნიც უფრო გამძფრებულია. იქნებ ასე უფრო ვიგრძნო, იყო თუ არა ბუნაგში დევი. კედლიდან მხოლოდ სიმყრალის, შიშის და უნდობლობის სუნი გამოდიოდა. გვერდით მივიხედე- რვათავიანი დევი-ეწერა კარებზე. რვათავიანმა დევმა მიმიღოს მეთქი უეცარი სტუმარი, კვლავ გავიფიქრე გულში და შესვლა გადავწყვიტე. იღუმალი ხმა შემომესმა

- ლამაზო - არ გაბედო მაქ შესვლა, ეს ჩემი მერვე შვილია, რვა თავი აქვს და ცხრათავიანზე სასტიკია, დაუნდობელი, იმიტომ, რომ ცხრათავიანს, მასზე ერთით მეტი თავი აქვსო....

გზა გავაგრძელე. მივდივარ წინ..... ვიცი, დევების თავის რიცხვის ზრდასთან ერთად მათი ძალაც მატულობს! ყველანი აქ არიან:

-შვიდთავიანი.
-ექვსთავიანი.
-ხუთთავიანი.
-ოთხთავიანი.
-სამთავიანი.
-ორთავიანი
-ერთთავიანი.

სიზმარში ვარ. ვერ გამირკვევია რომელ კართან შევჩერდე... ვდგევარ უჩუმრად მიწის-ქვეშეთში, კართან სადაც აწერია- დევი- უთავო. რა ვქნა, გამოღვიძება მინდა, გული მიცემს შიშისგან, რადგან თურმე ამ ქვეყანაზე ცხრათავიან დევზე საშიში უთავო დევი ყოფილა, მე კი მის კართან ვდგევარ ურცხვად, უტიფრად, მეგობრის, ხმლისა და ფარის, სიტყვის, მზისა და ნათელის გარეშე.

წიკ-წიკ, ტიკ-ტაკ, ისევ საათის ისრები თუ მიშველიან, იქნებ გათენდეს და მზის ერთი სხივი მაინც შემოიჭრას გულში, იმ გულში სადაც გაურკვევლობა და აუტანელი სიცხვე სუფევს, შიში გაუმძაღრობისა. მინდა მალე გათენდეს, რომ შეგეკითხოთ:

-გულიდან გამოსული ხელები გინახავთ?
-ჩამოღვენილი სანთლები მოგიპარავთ?
-სარკეში თქვენი ანარეკლი შეგინიშნავთ ?
-გამონვდილ ხელებზე ნაოჭები არ დაგიხატავთ? ან იქნებ ისინი იქ იყვნენ ყოველ-თვის.....

.....მაშ, ნოეს კიდობანისათვის ტანსაცმელიც არ ჩაგინწყვიათ და თავსხმასაც არ დალოდებიხართ აქ?

..... შიში არ გიგრძნიათ არასოდეს.... შიში უთქმელი ...შიში მტანჯველი სინდისისა და გულის ხელებისა .

იქნებ?

იქნებ სიზმრებიც არ აგხდენიათ არასოდეს, იმიტომ რომ ისინი ძალიან შავი და ბნელი იყო... არსად ჩანდა იქ ნათელი... ფერადოვნება? მაშინ მე გეტყვით, რომ თქვენი ძილი ძალიან ღრმა არ იყო. თვალეები ეძებდნენ გრძნობას და არა სულს.

და მაინც სადღაც, შორიდან, სიზმარეთიდან მოდიოდა თქვენთან ყინულის ნატეხები, კლდოვანი , ცივი და მიუსაფარი... მოდიოდა თან გზას ვერ იგნებდა, იმიტომ რომ მთვარე და ვარსკვლავები გამქრალიყვნენ. ღამე იყო ღამეზე შავი და უკუნი. სიზმრები შავ-თეთრი.

წიკ-წიკ, ტიკ-ტაკ... წიკ-წიკ, ტიკ-ტაკ... გამოღვიძებას ვერაფრით ვახერხებდი. გზა გავაგრძელე... ნახევარ გზაზე შევისვენე. მავთულხლართებმა და დიდმა ეკლიანმა ღობემ შემაშინა. ღობეს რისთვის აყოლებენ ნეტავ, ერთი სახლის ეზოდან, მეორე სახლის ეზომდეო, ვიკითხე გაკვირებულმა. მგონი საზღვარი მაშინებდა.ზღვარი თუ საზღვარი? სულერთია, მაინც გადასალახავი მქონდა და ეკლები დამიკანწავდა ტანს

თუ ბანრები შემომეხვეოდა ტანზე, ჩემთვის სულერთი იყო. არც ნახევარ გზაზე მინდოდა შეჩერება.

მოვდიოდი ან მივდიოდი.

როცა მოვდიოდი ყველაფერი თან მომქონდა: სიხარული, სითბო, სინაზე, თბილი ქარების ქროლა, ჩიტების ჭიკჭიკი, ზღვის ტალღების ლივლივი, ამიკოს შვიდგზის გული... როცა მივდიოდი ყველაფერი თან მიმქონდა: მერცვალას ფიქრები, ქარიშხალი, ოკეანის ცხრაბალიანი ღელვა, ყინულოვანი მთა, წვიმების შხუილი.

და მაინც მოვდიოდი ან მივდიოდი. გზა ძალიან, ძალიან შორი იყო და ამიტომ უსასრულოდ გრძელდებოდა ყოფნა–არყოფნა. ეკლები და მავთულხლართები მაშინებდა.... ვერ გამეგო ცხოვრების ავან-ჩავანი. სიზმარი თუ ცხადი?

ცხადი თუ სიზმარი? განა ვინმეს ვარდი უეკლოდ მოუკრეფია? რამ შემაშინა?

მოვდიოდი ან მივდიოდი.

ეკლები მკანრაავდა.

მავთულები ტანზე მეკვროდა.

ბანრები ხელებს და ფეხებს მიკრაავდა.

ღევის სუნი კი კვლავ ცხვირის ნესტოებს მიფართოებდა.

წიკ-წიკ, ტიკ-ტაკ... წიკ-წიკ, ტიკ-ტაკ... გამოღვიძებას ვერაფრით ვახერხებდი.

ვერ გავარკვიე, რომელ კართან შევჩერდე და რომელი ქუდი დავიხურო, უჩინმაჩინის თუ მაჩინის.

ალბათ, მაჩინის!

ნახვამდის მიწისქვეშეთო!

დავრჩები მე ჩემს გაურკვევლობაში, რადგან აკი გითხარით, ეს ნაწერი არავის გამოადგება მეთქი ამ ქვეყანაზე.

...აბა რა უნდა მეამბნა თქვენთვის. მე ხომ მთელი ცხოვრება, ორმოცდარვა წლამდე, 10 საათზე და 30 წუთზე ვიძინებდი.

ახლაც ჩემი ძილის დროა .

წიკ-წიკ, ტიკ-ტაკ.....წიკ-წიკ, ტიკ-ტაკ.....10 საათი და 30 წუთია!

კუ-კუ...გუ-გუ!

კუ-კუ, კუ-კუ მალულა, ბღვიდან შემოპარულა, შენ თუ მე თვალი დახუჭე....ასე შემოვედი შენს ბაღში და გეძებდი.... გეძებდი... ვიცოდი გულის ფეთქვის ხმით მოგაგნებდი. განა შენს გულს შეეძლო დამალაგა. ის ხომ მაღიმალ ცემდა და მეძახდა. არსად ჩანდი. სკამი ცარიელი იყო, მაგრამ ყვავილები დაგეტოვებინა უპატრონოდ.

გუ-გუ, სადღაც ახლოს იძახდა შენი გულისთქმა... ველარ მოვითმინე და გულში ჩაგისახლდი. არც სახლი და არც კარი მე შენი გულის გარდა არ მქონია.

კუ-კუ, კუ-კუ მალულა, ციდან შემოპარულა, შენ თუ მე, თვალი დახუჭე, შენ თუ მე გული გამიღე...

ჰოდა, დღესაც მაქ ვარ, შენს გულში ჩაბუდებული და არ ვითხოვ გარეთ გამოსვლას. ვიცი... ვერაგინ მიპოვის, რაც არ უნდა, მეძებონ და ხმამალა იყვირონ- კუ-კუ?

ვინც დამალული არ არის, ჩემი ბრალიც არ არისო?!

მე დიდი ხანია მყუდრო ბინა შენს გულში ვიპოვე.

КУ-КУ... ГУ-ГУ...

«Прятки с моря подкрались! Ку-ку, гу-гу! Ты, иль я - закрывай глаза!»

Так, мысленно распевая детские считалки, я искала тебя, войдя в твой сад... Искала, зная, что найду по биению сердца. Разве твое сердце могло спрятаться?... Оно ведь, стуча поминутно, взывалоко мне... Тебя нигде не было видно-стул был пуст, а цветы были оставлены без присмотра. «Гу-гу», -откуда-то поблизости взывало твое чувство... Не удержавшись, я поселилась в твоём сердце. Другого пристанища, кроме твоего сердца, у меня никогда и не было...

«Прятки с неба подкрались! Ку-ку, гу-гу! Ты, иль я -закрывай глаза! Ты, иль я -открой сердце!»

Вот и сегодня я живу в твоём сердце и не прошу о выходе наружу... Знаю, -никто меня не сможет найти, как бы ни искали, крича громко: «Ку-ку, ку-ку! Кто не не спрятался, я не виноват!»

Я уже давно нашла уютный дом в твоём сердце.

Ку-ку, гу-гу!

GUGU

Nascondino e venuta dal mare se tu lo ho chiuso l'occhio... cosi sono entrato nel tuo giardino e ti cercavo... cercavo... sapevo della voce di cuore ah il tuo cuore

Poteva nascondere. Quello spezzava lentamente e mi chia mava. Non potevo vederti da nessuna parte. la sedia era vuota ma i fiori hai laseito senza padrone.

Gugu.... da qualche parte vieino chiama i tuo cuoredetto... Non potevo avere Pazienza e ho abitato nel tuo cuore. Non avevo nianche la casa e la porta senza Del tuo cuore. Nascondino e venuta dal cielo se tu lo ho chiuso l'occhio se tu hai Aperto il cuore a me. Allora, oggi sono li abitato nel tuo cuore e non chiedo la tua

Presenza fuori. Lo so non puo nessuno cencarmi, qualunque sia nessuno puo cer-carmi e gridino ad alta voce. quello che non e nascosto e mia colpa?!
lo gia da tanto tempo ho cercato nel tuo cuore appartamento tranquillo.

როგორც ეული მგელი ისე მივრბოდი. როგორც მგლების ხროვა, ისე მხვდებოდი. მარტოსული სულში გისახლდებოდი, მაგრამ ულევნი ჩანჩქერით მდევნიდი, ვითარცა წყალი. განუკითხავად, სულმოუთქმელად ვსერავდი ზღვებსა და ოკეანებს, წყლის ფსკერზე ვპოულობდი რკინის ნაფლეთებს, ზეცის ვარსკვლავების ნარჩენებს. დაუპატიჟებელი სტუმარივით მიცქეროდი. სტუმარივით, რომელიც პირველად ნახე. როგორც ეული მგელი ისე მივრბოდი. როგორც მგლების ხროვა, ისე მხვდებოდი.

როდის გამიწყდა ვიოლინოს ნაბი სიმები? არა, არ მახსოვს.
ვერ ვიხსენებ მე იმ დრო-ჟამს...
გადამიარა სულში ფრთამოტეხილმა შაშვმა, ფერი იცვალა დევის ეშვმა, დატო-
ვებულმა ზღაპრად...
როდის გამიწყდა ვიოლინოს ნაბი სიმები? არა, არ მახსოვს.
ვერ ვიხსენებ.
კვლავ თუ მოფრინდა თეთრი შაშვი, მას ვკითხავ მხოლოდ
სად გადამალა ოქრო და ვერცხლი,
პირველი კიჭი,
ყვითელი მთვარე,
დინობავრის საშიში კლანჭი,
მძლეთა მძლე ხმალი...
როდის გამიწყდა ვიოლინოს ნაბი სიმები? არა, არ მახსოვს.
ვეღარ ვიხსენებ იმ მელოდიას ზღაპრულს, ვნებიანს, შენ რომ გიყვარდა!

სიჩუმე

სიჩუმეა.
მეორე სადარბაზოდან არაფერი არ ისმის.
სიჩუმეა.
ყველა ტელევიზორი გამორთულია.
სიჩუმეა.

შემოდგომას ფოთლები გაჰყვითლებია და ჩუმად შრიალებენ.
სიჩუმეა.
მყინვარწვერიდან ჩამონეული ნისლიც კი ფარავს სიჩუმეს .
ამ სიჩუმეში მეტი წილი სიჩუმეა.
ნამდვილი სიჩუმეა.
მუსიკის, სიხარულის,სიყვარულის გარეშე
და ეს სიჩუმე უფრო იზრდება და ფართოვდება.
გამოაღეთ ფანჯრები, გახსენით დარბაზები და გულის კარები ,
რომ ამ სიჩუმემ თქვენში არ შემოაღწიოს!



გადმოდი-ეძღვნება მწერალ თამაზ ექვთიმიშვილის ხსოვნას

კედლიდან გადმოდი.
საათის ისრებივით ვიმოდრაოთ უსასრულობაში.
წამოდი.
სახლიდან წამოდი.
ბზარებივით ვიბრუნოთ წრეზე მარადისობაში.
ჩამოდი.
ზეციდან ჩამოდი, რათა ისევ ვისაუბროთ დარბე, რომელსაც მოჰყვება ავღარი.
გადმოდი.
უბრალოდ გადმოდი. დამაკლდი.
დამაკლდი. წვიმა, ქარი, პოეტური რომანტიზმი არ გიყვარს ვიცი.
მთავარი ხაზი, რომელიც კედელზე მოხაზე
ვიცი, მეტია ამაზე, მიწით.
გადმოდი.
კედლიდან გადმოდი.
უბრალოდ გადმოდი.
ჩამოდი.

დამაკლდი.
სამშობლოს აგური
ნამცევად ქცეული
შენია ვიცი.
გიყვარს და გიჭირს.
წამოდი. წამოდი. გადმოდი.
აქ გინდა ვიცი....
რა გითხრა მეტი არ ვიცი.
ვიცი, უბრალოდ დამაკლდი. გიცდი.

СОЙДИ

Сойди со стены.
Давай, будем вращаться в бесконечности, подобно часовым стрелкам.
Уходи! Из дому уходи.
Будем кружиться по кругу в вечности, как надломы. Спускайся! Спускайся с небес, чтобы снова побеседовать о прекрасной погоде, за которой следует ненастье. Сойди!
Просто сойди. Тебя мне не хватает!
Тебя мне не хватает...
Не любишь ты дождь, снег, поэтический романтизм, – знаю.
Главная линия, которую ты очертил на стене, длиннее, чем эта высотой землей, – знаю.
Сойди! Сойди со стены.
Просто сойди. Спускайся, – тебя мне не хватает!
Кирпич Родины, превратившийся в крохи, твой – я знаю.
Ты любишь и тебе трудно.
Уходить! Спускайся! Сойди!
Тебе хочется быть здесь, – я знаю.
Что же еще сказать тебе? – Не знаю!
Но знаю, – тебя мне просто не хватает.
Жду.

შენ!

არა, აღარ დაგწერ ჩემს გზაზე, შენს გზაზე, ჩემი ლობიოს მარცვლიდან ამოსულ ოც-
ნებაზე, შენს სურნელოვან ჩაიზე და ცისარტყელაზე.

არა, აღარ დაგწერ ჩემს გზაზე, შენს გზაზე ორად გაყოფილზე და მაინც მთლიანზე.

ეს მე არა ვარ...ეს შენ ხარ უხმო და უტყვი

მეგობარი ჩემი, არნახული ტანჯვა და სითბო სიყვარული დათოვლილი, ცად ამაღლე-
ბული.

ეს მე არა ვარ... ეს შენ ხარ მზე და ნახევარმთვარე.

არა, აღარ დაგწერ, რომ არ დაიდალო.

ფოტოს გადაგიღებ

უხმოს ...

ხმიანს...

ზვიადს...

ამაყს...

....და მაინც თავმდაბალს.

არა, აღარ დაგწერ ჩემს გზაზე, შენს გზაზე

ჩემი ლობიოს მარცვლიდან ამოსულ ოცნებაზე, დაგწერ სხვის ტანჯვაზე, სხვის სიყვა-
რულზე, და სხვის ტკივილზე ღობეზე გადაყრილზე.....

მოშიშვლო ფეხებზე, ცარიელ ხელებზე,

დიდ გულზე და ნამცეცა ცრემლებზე.

რა ვქნა სხვას ვეღარ ვწერ, რომ კვლავ მოგეფერო და გულში ჩაგიკრა შენ!

ასფალტი ცხელია. ქუჩაში ვაგროვებ ატმის და ჭერმის კურკებს, ალუბლის და ვაშლის
ნარჩენებს, სიგარეტის ნამწვავებს. ჩიტების სხეულებიდან გადმოცვნილ პატარ-პატარა
ბუმბულებს. ძაღლთა გულიდან ამოსულ ძვლებს.

ასფალტი ცხელია. ქუჩაში ვაგროვებ ზღვის კენჭებს, ზღვის ვარსკვლავებს,
სიყვარულის ნარჩენებს, დელფინის და ვეშაპის ქონს .
ზღვის მარილს ვაზავებ ზღვის შაქარში. ასფალტი ცხელია. ქუჩაში ვაგროვებ მართალ
სიტყვას, სულის ლექსს ან დიდი სიტყვის ნამცეცებს.

მაინტერესებს, ატმის კურკის გულში, რა არის... საიდან მზადდება ვეშაპის ქონი,
ატმის ჯემი, სამოთხის ვაშლის მურაბა,
საიდან მოდის წვიმა, რათა გააგრილოს ასფალტი.

როგორ აცხელებს მზე ასფალტს და როგორ იყრება კურკები მიწაზე, რათა კვლავ აღ-
მოცენდეს ნატვრის ხე. ასფალტი ცხელია. მზე მწველი და გული მთელი უკურკოდ, ნამ-
ცეცების გარეშე...

და მაინც, ქუჩაში კვლავ ვაგროვებ ატმის და ჭერმის კურკებს, ალუბლის და ვაშლის
ნარჩენებს, სიგარეტის ნამწვავებს.

ველი.

ისევ ველი, რომ ერთ დღეს გავიგებ, საიდან ჩნდება ჭერამში კურკა,

კურკაში გული

და გულში კი სევდა.

არ მოიშორეთ შვილები!

ფეხმძიმედ ვარ! კი, ახლა გავიგე, რომ მძიმედ ყოფნა მართო ფეხმძიმობას არ ნიშნავს. ფეხმძიმედ ვარ და ამ ულამაზეს ადგილას თავი მოვუყარე ფიქრებს, შენგან წამოსულს, სულს, უფლისგან ჩაბერილს და სხეულს, გადასხვაფერებულს. ეს ჩემი სხეული გაბერილა, დამძიმებულა. თითქოს სახეზე ჭორფლის მაგივრად კენჭები მაყრია, გულზე ქვები და ფეხებზე დოლაბები.

ფეხმძიმედ ვარ! კი ახლა გავიგე, რომ მძიმედ ყოფნა მართო ფეხმძიმობას არ ნიშნავს.

ეს მეორე სიყვარულია, რომელსაც ნელ-ნელა ცხრა თვე შენთვის ვატარებ, რომ კვლავ გიყვარდე ასეთი და არ გძულდეს სხეული ჩემი, რომ მეფერებოდე და ჩემში მხოლოდ სათნოებას ხედავდე, რომ არ მთხოვდე მოვიშორო ეს დოლაბები ფეხებიდან, ჭორფლი ცხვირიდან, წყლები, დასიებული პანაწუნა ხელებიდან, რომ არ მთხოვდე მოვიშორო ეს სხეული საერთოდ.

ფეხმძიმედ ვარ!

კი ახლა გავიგე, რომ მძიმედ ყოფნა მართო ფეხმძიმობას არ ნიშნავს.

ეს მხოლოდ შენი სიყვარულია ჯერ, მეტი არაფერი.

მიმიკრია

...კი. ადრეც გიცნობდი. ვიცოდი, რომ მოხვიდოდი.

მოხვიდოდი და იმ ისტორიას მომიყვებოდი, რა გზა გამოიარე. ჩამოძენდილი ჭვალოს პერანგიდან, როგორ გცვიოდა ოქროს მონეტები, ატლასის ფარჩა-ხალათიდან უგულო ვარსკვლავები, ბეცის უძირო თალიდან არსად უშვებდი მზეს.

.....კი. ადრეც გიცნობდი. ვიცოდი, რომ მოხვიდოდი. მოხვიდოდი და მეტყოდი, რომ შენც მიცნობდი, რომ ყველაფერი იცოდი ჩემს შესახებ, რომ, რაც გულში ჩამიხატავს, ადრეც გქონდა ნანახი, წაკითხული და შენი ვიყავი ასეთი, როგორიც ვარ.

.....კი. ადრეც გიცნობდი. ვიცოდი, რომ მოხვიდოდი. თავზე დამაყრიდი ვერცხლის ფულებს, ოქროსფერ ფოთლებს. მომაპკურებდი ქვენარმავლების უჩინარ გესლს, გულში დამალულს, რათა უცხო დაემსგავსებოდი და ვერავის გაეგო, ვინ ვიყავი სინამდვილეში.

.....კი. ადრეც გიცნობდი. ვიცოდი, რომ მოხვიდოდი. გინდოდა ფერით, ფორმით, სურნელითა და გემოთი სხვა ვყოფილიყავი -უცხო ჩიტი, უკარება ცხოველი, გრძელკისერა მოლუსკი და მოკლებფეხება გიგანტი.

.....კი. ადრეც გიცნობდი. ცოდი, რომ მოხვიდოდი, მაგრამ ამჯერად დაგხვდი რკინა და კლდე, რომელსაც ვერაფრით დაამსგავსებ სხვას!

P.S=მიმიკრია: ფორმით ან ფერით დამსგავსება გარემო საგნებთან, სხვა ცხოველებთან და მცენარეებთან.



ირაკლი მურგანიძეს!

კარგა ხანია აღარ მიფიქრია შენზე. იმიტომ კი არა, რომ არ მახსოვხარ. არა. ცხოვრებაა ასეთი... მიდის თავისი დინებით და გვერდით თუ არ ხარ, ძალაუნებურად გეთიშები. სხვა განზომილებაში გადავდივარ და თითქოს მავიწყდება შენი არსებობა. გუშინ ვიღაცამ ჩამიარა და მიგამსგავსე. შენგვარი ბრაგუნა ფეხსაცმელი ეცვა და შენგვარი მყარი, ოდნავ სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა წინ. მარჯვენა ხელს გვერდით იქნევდა, ზუსტად ისე, როგორც შენ! შემეშინდა. ვიფიქრე დავწვნი და შევხედავ თვალებში მეთქი, მაგრამ გავქვავდი... თმები ჰქონდა წითელი! რა უცნაურია არა? იშვიათად შეხვდები ახალგაზრდა მამაკაცს წითელი თმებით და ისიც შენგვარს. რომ არა ეს განსხვავება ალბათ შენს ნაბიჯებს არც მოვშორდებოდი და გამოგყვებოდი მეც სხვა განზომილებაში.....

იქ, სხვა განზომილებაში იქნება, იქ მაინც მეთქვა, როგორ მტკიოდა შენი ხმა, შენი ნათელი სული და სხეული. იქნება, იქ მაინც მეთქვა, რომ ზღვარი ამ განზომილებებს შორის არ არსებობს და მაინც აქ ხარ ჩემთან. არსად წასულხარ და გაფრენილხარ. კარგა ხანია აღარ მიფიქრია შენზე. იმიტომ კი არა, რომ არ მახსოვხარ. არა. ცხოვრებაა ასეთი... ვერ მიხვდები სიზმარია თუ ცხადი.



ასე მგონია არფაზე უკრავ

მამუკა ესაძეს

ასე მგონია არფაზე უკრავ.

უკრავ, გამუდმებით, რომ არ მესმოდეს უცხო ხმები ჩრდილოეთიდან.
არ მესმოდეს და არ მტკიოდეს სხვისი სხეული.
არ მცოდნეს, როცა სხვას შია.
ანდა ანაზღადა არ ვხედავდე ზღვაში ჩაძირულ მედეზას და შენს თვალებს ერთად.
ასე მგონია არფაზე უკრავ .
უკრავ გამუდმებით და მხოლოდ ჩემთვის,
რომ პირველად ახალშობილის ნაბი ტირილი და შენი ხმა ერთმანეთს ჰგავდეს.
შემდეგ კი სხვა ხმებს შევეჩიო-უმეობას, რომლის ხმაც ვიცი, მხოლოდ შენია.
უმწეობას, რომლის გზაც ვიცი, დაუსრულებლად უნდა იარო.
გეიზერის და ვულკანის ლავას, რომ გავარჩევ ერთმანეთისგან,
ეს ხელები, დამწვარი კანით, ვიცი არფაზე დასაკრავად არ გამოდგება.
ასე მგონია არფაზე უკრავ, რომ სილამაზე ამ გზით მოსული არ დაიკარგოს,
არ წაიღოს უცხომ, მავანმა.
არ დაწყვიტოს ეს სიმები
და ჩემში დარჩეს ყველა ეს ხმა შენგან მოსული.

ასე მგონია არფაზე უკრავ!

უკრავ გამუდმებით, რომ არ მესმოდეს უცხო ხმები ჩრდილოეთიდან.
დასავლეთიდან, სამხრეთიდან, ან სულერთია რომელი მხრიდან.
აღმოსავლეთშიც ასე მძაფრია ეს მონატრება და წყურვილი სიყვარულისა.
დასავლეთშიც და მოუსავლეთშიც ერთნაირია ეს სიმები გადაჭიმული კლდეზე და მზეზე.
მეტი რა გითხრა...
როცა ვეხები ამ სიმთა წყობას, მე მხოლოდ მაშინ მესმის მუსიკა, რომელსაც ჩემთვის
გამუდმებით არფაზე უკრავ!

მამას!

წარსულიდან მომიტანე წყალი.
ეგებ, მოვიკლა წყურვილი შენი მონატრების.
გამომიგზავნე სიტბო და სისველე,
დამშრალი ხელების სინოტივისთვის,
გამხმარი ყელის დასალბობად,
პურის მარცვლების აღმოსაცენებლად.
წარსულიდან გამომიგზავნე ფოტო
სიკვდილ -სიცოცხლის რეალური სახე.
ბებოს თბილი ღიმილი
ბაბუს ერთგულება და
მუდმივად მომგებიანი ლოტოს ბილეთები.
მამის სევდა და მონატრება.
კეთილშობილება.
გამომიგზავნე არარსებული მზიანი მთვარე.
კიდევ გამომიგზავნე ომი
მშვიდობის დასამყარებლად, ერთგულების მისაღწევად,
მონობის აღმოსაფხვრელად,
ზავის დასადებად
და ქაოსის შესაჩერებლად.
წარსულიდან გამომიგზავნე ფატა
ჩემი ქორწილის რეალური სახე.
სინდის- ნამუსის დასათესად,
სიყვარულის მოსაპოვებლად
და შვილების გასაჩენად.
წარსულიდან გამომიგზავნე ყველაფერი, რაც მბაბდია-
სამშობლოს სიყვარული
ქართველი ქალის სათნოება.
მზე და მთვარე
და კიდევ ოცნების ვარდისფერი სათვალეები.
გამომიგზავნე...
გამომიგზავნე ყველაფერი.
ოღონდაც, არ წაიღო წყალი.
ოღონდაც, არ წაიღო მზე.
ოღონდაც, დამიტოვე ჩემი ნატვრის ვარსკვლავები
და ჩემი პატარა ანდრიას ტყე.

არაფერი

არაფერი არ არის დღეს.
დილის მოსვლა და ღამის გაქრობა.
თვალეებში შუქის ჩადგომა და მარტოობა.
არაფერი. გარდა მიწის სურნელისა.
ყველაფერი გარდა არაფრისა,
სიყვარულისა მოსული მღვიმე გამოქვაბულიდან,
ამოზრდილი ტბაში ლერწმად და
ამოსული სულში ხნულად გაზაფხულისა.
არაფერი.
არაფერი არ არის დღეს.
გარდა ოქროს მონეტებად დაღვრილი აუხდენელი ოცნებისა.
ვერცხლის ფულად გადაქცეული ტყუილისა,
დაუნახავი სიკეთისა,
უმადური სიყვარულისა.
არაფერი გარდა ყველაფრისა.
ყველაფერი გარდა არაფრისა.
მოსული ტყიდან დევის კაცად
დიდ უზარმაზარ თავად ცნობისა,
ამ თავზე დიდი უგრძნობი ტანისა,
უფეხო მკლავისა და უხელო მაჯისა.
არაფერი გარდა ყველაფრისა,
ყველაფერი გარდა არაფრისა.
არაფერი არ არის დღეს
გარდა უსაშველო წვიმისა.

Ничто...

Ничто не существует сегодня -- ни
Приход утра, или улетучивание ночи, ни
Проблеск света в глазах, или одиночество, -
Ничто, кроме благоухания земли.
Все, кроме пустоты...
Кроме любви, пришедшей из пещеры,
Тростника, произросшего в озере и возвращенного в душе, подобно пашне весны.
Ничто...
Ничто не существует сегодня, кроме:
Разметанных, подобно россыпи золотых монет, несбывшихся мечтаний,
Лжи, превратившейся в серебрянники,
Непризнанного добра,
Неблагодарной любви.
Ничто, без всего.
Все, кроме пустоты.
Кроме принятия огромной головы
За посланника сказочного великана, пришедшего из леса.

Кроме большого бесчувственного тела под головой,
Безногих рук и безрукого запястья.
Ничто, без всего.
Все, кроме пустоты.
Ничто не существует сегодня,
Кроме мрачного дождя...

"წრნი ჰალაგ"-წითელი ჭიშკარი-ირმა კიკოლიაშვილს

რკინის ჭიშკრები ხომ საერთოდ მოყამულები არიან. ვერავინ გაიგებს რა ფერი აქვთ, წვიმა და თოვლი საღებავს აცლის და რუხ ფერებს უტოვებს მხოლოდ ლაქად. ეს ჭიშკარი კი წითელი იყო. ისეთი წითელი, რომ გეგონებოდათ სისხლი დაიდვარა ადამიანთა სხეულებიდანო. ჰოდა, იმ ღამით, ეს ჭიშკარი, „წრნი ჰალაგ“ დაიკეტა.....

დაკეტვისას, ხმა, რომელსაც ის გამოსცემდა, გასაოცარი იყო-ფრთხილი და ნაზი, ოდნავ სევდიანი და გულიანი. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან, ძალიან შორს ცხვრობდა, მაინც წითელი იყო. ვერაფერს აკლებდნენ შავბნელი ჩრდილები, გვიან ამოსული მზის სხივები, ბორიალა მთვარე, წითელი იყო და იმიტომ. მიუხედავად რკინის გულისა, რომელიც მას ჰქონდა, რკინის ხელისა და ფეხისა, წითელისა ფერისა გამო, მაინც ჰაეროვანი მოგეჩვენებოდათ. დიდი უზარმაზარი ღობე, მყარად ნაშენი და რკინის გასაღები, რომელიც არასოდეს იჟანგებოდა, ამ რკინის ჭიშკრის საიდუმლო იყო. აქ ხომ მოთვალთვალე თვალი, ვერაფერს შენიშნავდა, გარდა იმ ფრინველებისა, რომლებიც გუნდ-გუნდად მოფრინავდნენ.

-ეჰ, თქვა ერთხელ ნიბლიამ, ეს რკინის ჭიშკარი ისეთი მაგარია, ჩემი ნაზი ფეხუკები მეტკინა, მაგრამ ისეთი წითელია, გული მისკენ მიმიწევს, როცა შორს ვარ და მისი ფერი მახსენდება მასთან მინდა გადმოფრენა.

მოკლედ, ეს ის გზა იყო, წითელი ჭიშკრისკენ მიმავალი, რომელიც უნდა დაგენახა, მიგეგნო, ჩიტად გადაქცეულიყავი. გადაფრენილიყავი სადღაც შორს და მერე კვლავ ჩაფრენილიყავი მის ეზოში და არასოდეს გამოსულიყავი იმ წითელი ფერიდან, რომელსაც წითელი ჭიშკარი- "წრნი ჰალაგ" ერქვა.

ცისკრის ვარსკვლავი


.....ფურცელი ორ ნაწილად გაჰყოფოდა- ერთ მხარეს მოკრძალებულად სულ ორი სიტყვა ჩაწერა-გომინაყი და ნუგა, მეორე მხარეს კი ხატვას შეუდგა: ჭერ პატარა სახლი დახატა ბუხრითა და საკვამურით. საკვამურს დიდხანს უცქეროდა, აშკარად გრძნობდა დედის გამომცხვარი პურებიდან და კვერებიდან ამოსულ ოხშივარს, სითბოსა და ცეცხლის უცნაურ ძალას.....

იმ სიცივეში უეცრად დათბა.....შემდეგ, ფანჯრები დახატა, ახალი, ლამაზი, საიდანაც
წვიმისა და ქარის ჩურჩულიც კი არ შემოვიდოდა. კარის დახატვა უნდოდა, მაგრამ გადაი-
ფიქრა. ჯერ მამის ხატვა დაიწყო.... სილუეტი ბუსტად ისეთი გამოვიდა, როგორც ახსოვ-
და და ენატრებოდა-ბრგე, ახოვანი და ძლიერი... აქაც შეყოვნდა ცოტა ხნით...არ ეთმო-
ბოდა მისი დატოვება, მაგრამ საკვამურიდან კვამლი, რომ ამოდიოდა, ბუხართან დედა
ხომ უნდა ყოფილიყო? ამიტომაც ფრთხილად ხატავდა ფანქარით და გამოჰყავდა
ნანატრი სახე, თვალები და ხელები-დედის ხელები, გამრჯე, თბილი და სათნო... მეტი
სურვილი აღარ ჰქონდა... მხოლოდ კარისკენ იცქირებოდა...

კარი, ყველაზე ძნელი დასახატავი აღმოჩნდა - ისეთი უნდა ყოფილიყო, დედ-მამა ერ-
თად შემოსულიყვნენ, თავისუფლად.

აი აქ, კი, ამოიკვნესა.

..... თავზე დასთენებოდა და ცისკრის ვარსკვლავი უღიმოდა... შეეშინდა, ვაითუ ბევრი
გამოვიდეს ჩემი სურვილებიო და ფურცელი შუაზე გადაჭრა - იქ სადაც გომინაყი და ნუგა
ენერა, სასწრაფოდ დაჭმუჭნა და ჯიბეში შეინახა.ფურცლის მეორე ნაწილი კი უბრალოდ
ცისკრის ვარსკვლავს ანდო.



ხმა

„ჭექს კიდეც, ქუხს, ჩაკეტილია ცა, ვზივარ და ვუცდი ოცნებას,
როდის გამიღებს კარს.“

ყველაზე მაღალი მთიდან ჩამოვდიოდი.

...ადარც კი მახსოვს როდის ავედი ასე მაღლა... იქ ხომ დედამიწის ხმები ვერ აღწევდნენ. იქ, სადაც საოცრებები ხდებოდა-ცისფერი ღრუბლები, რომელებიც თვით იუპიტერს — ცის, დღის სინათლის და ელვის ღმერთს შეექმნა, ცრემლებად იღვრებოდნენ, იმსხვრეოდნენ, ნაფლეთებად იქცეოდნენ... თითქოს აღარ უნდოდათ ღრუბლებად ყოფნა, თითქოს ის სივრცე, რომელიც ამ უკიდევანო ცაზე ეკავათ, დაპატარავებულიყო... ვედარც მზის ნათებას და ვედარც ელვის სიდიადეს გრძნობდნენ რატომღაც. მეფობაც მობეზრებოდათ! ჩვეულებრივები უნდოდათ რომ ყოფილყვნენ: როცა მათ სურდათ მაშინ განვიმებულიყო, როცა მათ ტკიოდათ მაშინ ეღვრათ ცრემლები და როცა უხაროდათ, მაშინ ეცინათ... მაგრამ ისინი მარტოკები ცხოვრობდნენ...სულიერი ჩემს გარდა არავინ ასულა ასე მაღლა არასდროს. ჰოდა, ცის კაბადონზე, იუპიტერი განაგებდა ყველაფერს-როცა თავად შემოაწვებოდა უკიდევანო სევდა გულზე, მაშინ დასჭექდა და დააზანზარებდა დედამიწას... მხოლოდ მაშინ წამოვიდოდა ნიაღვარად უნაყოფო და ფუჭი ცხოვრების უმიზნო ცრემლები და ასველებდა კაცობრიობას. მხოლოდ მაშინ ჩამოსძახებდა ქვევით ადამიანებს:

ელვას და ჭექას

ჩემს გულში

ორი ადგილი აქვს:

ელავს მზე,

ჭექს ბედნიერება,

ქუხს კიდეც შენი ხმა!

ხმა.სწორედ ეს ხმა ადამიანისა აკლდათ ცისფერ ღრუბლებს...ამიტომ ტკიოდათ ასე, ცისფერი ძაფებით შეკერილი, ნაფლეთებიანი ღრუბლის გულები.

ალბათ მეც ამ ხმის ძებნაში გზა ამბნევიან.....

ყველაზე მაღალი მთიდან ჩამოვდიოდი.....

ადარც კი მახსოვს როდის ავედი ასე მაღლა!

ალმასი

...ალმასი, რომელიც მას მოვპარე ცხრა მთას უნდა გადავატარო. ცხრა მდინარე უნდა გადავცურო, ცხრა ცხრაკლიტული უნდა შევადო და შევინახო, გადავმალო!

...სსსსსსსს. მომდევნ ისინი.

...შშშშშშ. შრიალებენ ფოთლები. ფრთხილად. ძალიან ფრთხილად უნდა ვიარო. იმის გამო რომ მათ არ ესმით, უფრო მძფრი სმენა აქვთ. იმის გამო რომ ვერ ხედავენ, უფრო მეტს გრძნობენ.

...სსსსსსსს. აურაცხელი ვნება იფრქვევა გარშემო.... სიარულიდან სირბილზე გადავდივარ... მიგრბივარ... თითქოს მთელი ქვეყანა უკან მომდევს და მაინც მართო ვარ. უკვე მინდა დაგუბრუნო, უკან გადავუგდო, როგორც წიქარას სავარცხელი, მაგრამ ხელებზე მეკვრება ცეცხლის ალივით.... მწვავს ...მდაგავს და მფიტავს.... შიში, არ მოსული, შორიდან მიახლოვდება. გულის ძაფზე ვკიდებ ალმასს და სხეულზე თოკებად ვიმაგრებ.

...სსსსსსსს . მომდევნ ისინი.

...შშშშშშ. შრიალებენ ფოთლები. სვლას ვუკლებ... რამდენიმე კლდე გადაულახავი მეჩვენება, მაგრამ ეს ალმასი ძალას მაძლევს... როგორ ანათებს!!!!

... როგორ ბრწყინავს!!!!

ნუთუ ვერ შევძლებ?

შევძლებ! მზის სხივებმა დამხედეს და ჩემმა ალმასმა სხვადსხვა ფერით ნათება დაიწყო. მიპოვნიანი! ალბათ მალე მიპოვნიანი და ამას კი ვერ დავთმობ.

ბრწყინავს !

...ალმასი, რომელიც მას მოვპარე ცხრა მთას უნდა გადავატარო. ცხრა მდინარე უნდა გადავცურო, ცხრა ცხრახრაკლიტული უნდა შევადო და შევინახო, გადავმალო!

...სსსსსსსს. მომდევნ ისინი.

...შშშშშშ. შრიალებენ ფოთლები.

ჭიანჭველა

შშშშშშ-რალაც უცნაური ხმები მოდის დედამიწის გულიდან. ყური მივუგდე, დავიხარე, ჩემი გულის ცემაც შევეურთე და რას ვხედავ- ფრთიანი ჭიანჭველები ბუდეს ტოვებდნენ და საქორწინო ფრენისთვის ემზდებოდნენ. შემეცოდა დედალი ჭიანჭველა. ვიცოდი, რა ცოტა დრო ჰქონდა სიყვარულისა და ერთად ყოფნისათვის მის გულისწორთან. დანყვილების შემდეგ ხომ მისი მოტრფილე კვდება, თვითონ ფრთებს კარგავს და უფროდ იწყებს ახალი ბუდის შენებას. ასე არ ვართ ჩვენც, დედამიწაზე მცხოვრები ჭიანჭველებიც. მხოლოდ მაშინ გვაქვს ფრთები შესხმული, როცა ჩვენი პატარა გულები სიყვარულითაა სავსე..... სიყვარულით ფრთაშესხმულნი ისე დავდივართ, რომ ვერც ვამჩნევთ, ჩვენს გვერდით უფროდ და უსიყვარულოდ ნაშენებ ან დანგრეულ ბუდეებს და ამ ბუდეებში მცხოვრებ ადამიანებს. ახალი ბუდის შენება განა შეიძლება ფრთების გარეშე? თუნდაც იმ მცირე ზომის ფრთებუკების, რომელიც ჭიანჭველას აქვს. ის ხომ ძალიან პატარაა, მაგრამ ძლიერი გული აქვს.... სამეფო ოჯახის წარმომადგენელია და ამიტომაც ყველაფერს უძლებს... იმასაც კი, რომ სიყვარულით გაჩენილი პატარებისათვის, მის ზომა-წონაზე მეტი საკვები ზურგით მიიტანოს შინ, იმასაც კი, რომ ფრთებს კარგავს. როგორი ძლიერია. მისი გულისწორი, ოჯახისათვის თავს სწირავს, კვდება. თვითონ კი აგრძელებს უფროდ ცხოვრებას.

მოფუსფუსე და მოშრიალე ჭიანჭველებო, დიდგვაროვნებო და უბრალო ხალხო, ადამიანებო, თავმდაბალნო და ამპარტავანნო, ნუ დაგვარგავთ სიყვარულს და ნურც პატარა ფრთებს, თუნდაც ის ჭიანჭველას ფრთებუკები იყოს.

.....შშშშშშ-რალაც უცნაური ხმები მოდის დედამიწის გულიდან.

კოცონი

-როგორ ხართ ნაზო ბებო? - მოჩვენებითი სილადით შევეკითხე.

-რა ვქნათ შვილო, როგორ ვიქნებით. თვალდახელშეა ქრება ჩემი შვილის სიცოცხლე, იფერფლება და სადაცაა მტვრად გადაიქცევა... მკაცრად გამოსცრა კბილებში. პასუხს არც დაელოდა. ან კი რა უნდა მეთქვა პასუხად....

წავიდა.


სულ მალე ისიც წავიდა.....

წავიდა და გულიც თან წაიღო. გული ხომ ყველას ერთი და თანაც ერთნაირი ფუნქციისა აქვს. მას სულ სხვაგვარი გული ჰქონდა ისეთი გულიდან ხელები რომ გამოდის, ჩამოღვენილ და დაპატარავებულ სანთლებს რომ იპარავს, სარკეში მის ანარეკლს რომ ვერ ხედავს და სხვის ხელებზე მუდმივად თანაგრძნობის ნაოჭებს რომ ამჩნევს. ისეთი, ბავშვობაში რომ გულებს ხატავენ წრფელს და სათუთს, ხაზები რომ აცაბაცად მიდის, მაგრამ მაინც ვხვდები, გულის ფორმა რომ აქვს. სულ ერთად ვიყავით და მისი გულის ფეთქვა და ჩემი ერთი იყო. შეჩერდა მისი გულის ფეთქვა და ჩემი კი სხვა განზომილებაში გადავიდა-გაფრინდა უცნობი მიმართულებით. ზღვას და ოკეანეებს შემოევლო, მთებსა და ველებს გადაუფრინა, პეპლებიან მინდვრებთან ჩამოისვენა და გაჩერდა. წუთით შეისვენა, რათა გაეხსენებინა ბავშვობის წლები, ნაზო ბებოს დამცხვარი დედის პურები, საშობაო ღვეზლები, კისკისი თოვლში, ტირილი ბაღში წასვლის წინ, დევების სახლ-კარი, ობლის კვერი და უძირო თვალელები მამის. მაგრამ ეს არაფერი იყო იმ ზღაპართან შედარებით, რომელშიც მუდმივად ცხოვრობდა... ზღაპარი კი ცეცხლის ალზე და კოცონზე იყო: კოცონი სულ ენთო და წითლად გიზგიზებდაცეცხლის ალი სხვადასხვაგვარად იკლავებოდა, ზოგი პატარა იყო, ზოგი გრძელი, ზოგიც კი მსუბუქი, როგორც ბუმბული. ცეცხლის ალში შეაყრიდი შეშას და დიდი ცეცხლი დაინთებოდა, მაგრამ კოცონი დაუნდობელი იყო, რაც მეტ შეშას შეყრიდი, მით მეტს ითხოვდა, თუ მოაკლებდი, უცებ ჩაიფერფლებოდა და მტვერი და ნაცარი დარჩებოდა.

-როგორ ხართ ნაზო ბებო? - მოჩვენებითი სილადით შევეკითხე.

-რა ვქნათ შვილო, როგორ ვიქნებით. თვალდახელშეა ქრება ჩემი შვილის სიცოცხლე, იფერფლება და სადაცაა მტვრად გადაიქცევა... ალბად მეც მივაკელი რაიმე მაგ გულს, ასე უდროოდ რომ ჩაიფერფლა და მტვრად იქცა.

კოცონმა დასწავა!



არ მინდოდა გახსენება წარსულის. არ მინდოდა შეხსენება მომავლის. შენთან მოვალ სუფთა გზით და წრფელი გულით. გაგატანე თვალხილული მარხილები. დამიტოვე გაბზარული ბახილები. არ მინდოდა გახსენება წარსულის. არ მინდოდა შეხსენება მომავლის. ჰოდა თოვლი, ზამთარი და სიცივე, გამიყინავს შენგან შემორჩენილ გვირილებს. მზეც გათოშავს გვირილებზე, უპატრონოდ დატოვებულ სიმშვიდეს.

არ მინდოდა გახსენება წარსულის. არ მინდოდა შეხსენება მომავლის. და რადგანაც თავს მახსენებ უტიფრად, დამიყარე ეს მზიანი გვირილები, მოაშორე ყინვიანი წერტილები და მითხარი რომ გიყვარვარ!!!!



ჭრაქი

რა ვქნა არ ანათებს ეს დალოცვილი ლამფა, რა ვქნა არ მილიმის ეს ნათელი მთვარე. შენტვის სათქმელ სიტყვებს ვკარგავ, სხვისთვის სათქმელს ვპოულობ და ქარს ვატან. რა ვქნა არ ანათებს ეს დალოცვილი ლამფა. ნეტავ ეს სიბნელე ნათლად გადაიქცეს. ნეტავ სიხარული მოგიტანო ზეცის. ნეტავ ეს ტანჯვა წაილოს ჭრაქმა, რომ დარჩეს ჩემთან უსიტყვო ღდენი, ჩემი ცხოვრების აზრის შემქმნელნი. რატომ არ ანათებს ეს დალოცვილი ლამფა. თუ აღარ ანათებს ეს დალოცვილი ლამფა და თუ არ ინათება ტანჯვის ყვავილები, შენთან მოსასვლელი ღამის აჩრდილები, ჩემთან დამიტოვე ამას გვედრები. რა ვქნა არ ანათებს ეს დალოცვილი ლამფა, რა ვქნა არ მილიმის ეს ნათელი მთვარე. შენტვის სათქმელ სიტყვებს ვკარგავ, სხვისთვის სათქმელს ვპოულობ და ქარს ვატან.



ჩემი და შენი საკერავი მანქანა

.....ხაზს, რომელსაც შენთვის ვავლებ, მინდა სწორი იყოს, გზიდან რომ არ გადაუხვიო.

.....ხაზს, რომელსაც სხვისთვის ვავლებ, ის კიდევ უფრო სწორკუთხოვანი, მჭიდროდ ნაკერი, გრძელი უსასრულობამდე. ეს ხაზები პარალელურად მინდა მიდიოდეს, რომ უსამართლობამ და უნდობლობამ, სიძვამ და მრუშობამ, სიყალბემ და გაუმაძღრობამ ჩემი ხაზისკენ არ გადმოუხვიოს.

.....ხაზს, რომელსაც მუდმივად ვავლებ, მაგარი ხელი, მტკიცე გული და უსასრულო სიყვარული სჭირდება. დამეხმარე ჭრელპეპლებიანო საკერავო მანქანავ, რომ ხაზს, რომელსაც შენთვის ვავლებ, მუდამ სწორი იყოს და გზიდან არ გადაუხვიო. ამ გზაზე, ხომ პეპლები არ ფრინავენ-აქ მუდამ ქარიშხალია, სიცივე და გაუტანლობა. აქ ხომ, შენი ლამაზი ფრთები იკვეცება და ჰაერში მიფარფატებს დაღლილი, წელში მოხრილი.

მე კი მინდა შენი ხაზი გამართული და ლარივით სწორი იყოს!


.....ხაზს, რომელსაც შენთვის ვავლებ, სწორი უნდა იყოს ყოველთვის, გზიდან, რომ არ გადაუხვიო.

მონეტები

მონეტებს ვაგროვებდი. ფულის სხვადასხვა სახის მონეტებს. ზოგი ოქროსი იყო, ზოგი ვერცხლის, ზოგიც კიდევ ბრინჯაოს... უბრალო მონეტებიც იყო. აი, ისეთი, არანაირი ძვირფასი შენაერთი რომ არ ჰქონდა, მაგრამ მაინც ვინახავდი ერთ დიდ, უზარმაზარ ძველ ჩემოდანში. ამოვიღებდი ოქროს მონეტას და დიდხანს ვუცქეროდი. მაინტერესებდა მისი ბრწყინვალეობა და თვალისმომჭრელი სილამაზე რას მიქადდა... ვერცხლის მონეტაც ბრწყინავდა, მაგრამ მისი ბრწყინვალეობა რაღაც გამოუთქმელ სევდას მგვრიდა, თითქოს მცდიდნენ, მაკვირდებოდნენ და გამოცდას მიწყობდნენ, მეკითხებოდნენ-გავუძლებდი თუ არა ცდუნებას... ცდუნებას სიხარბისა და მომხვეჭელობისა... ჩემოდანი კი ჩვეულებრივ ივსებოდა და ეს მონეტები თანდათანობით ადამიანებს ემსგავსებოდნენ. ისეთ ადამიანებს, ვისაც მუდმივად ნიღბის ტარება უყვართ. ისეთ კაცუნებს, ვისაც სხვისი ჭირი ლხინად მიაჩნიათ. ჰოდა ავიღე და ეს ჩემოდანი ძველი, გაფუჭებული და უვარგისი უძირო ჭაში ჩავაგდე!

....იმ ჭასთან ახლოს კი ჩემი მეგობარი დევი ცხოვრობს... იმ დევს არ უყვარს არც ადამიანები, არც ფული, ამიტომ ზევით ვერვინ ვერ ამოვა

ძველი, უვარგისი მონეტებიანი ჩემოდანი, დღესაც იმ უძირო ჭის ფსკერზეა.



სკამი- ჩემი მეგობარი

.... რა ვქნა, რომ მიყვარხარ და შენთან განშორება არ მინდა. გუშინ ფეხი დაგიცურდა, მეგონა მეც ჩავვარდებოდი შენთან ერთად, მაგრამ თავი შევიკავე. ხელითაც კი შეგაჩერე, შეგაჩერე და გაგასწორე. კვლავ ისევ მედგრად მინდა რომ იდგე, რადგან შენთან განშორება ჩემი სიკვდილის ტოლფასია. ალბათ, ეხლაც თვალწინ მიდგას ის დღე „პირველად ტყეში წიფლის ხე რომ მოვჭერი „მორები“ მინდოდა ზომა-ზომამე დამეწყო, მაგრამ არ ვიცოდი როგორ გამეკეთებინა. ვინ არ მეხმარებოდა... დათვიც კი გამოძვრა ბუნაგიდან და ტორით ადგილი მომინიშნა, სადაც უნდა გადამეხერხა, უფრო სწორი და კარგი სკამი რომ გამომსვლოდა. ჰოდა, ტყის ერთობის ამბავიც ხომ იცით, ყველა ჩემს გვერდით იყო-მელა მატყუებდა, მგელი კბილებს მიკრეჭდა, ბუღბუღი მიგალობდა, გველი მგესლაგდა... მხოლოდ შვლის ნუკრი მიგებდა ფიანდაზად ბალახებს, რათა მასაც და მეც მსუბუქად გაგვევლო. გზა დიდი და რთული აღმოჩნდა. ტყე რომ გავიარე, კლდე გადამელობა, მერე ჩანჩქერები ...ისევ წიქარას პატრონმა პატარა ბიჭმა მიშველა და გადმომიგდო საჩუქრად სავარცხელი და ჯადოსნური სალამური, ორივე მელოდიას რომ უკრავს „საჭიროს“ და „სალხინოს“. თუ სკამი შებარბაცდებოდა, „საჭირო“ სალამურს დავუკრავდი და მოდიოდნენ ჩემთან მეგობრები მხსნელად, თუ მყარად იდგა, მაშინ ვუკრავდი და ვუკრავდი „სალხინოს“.

ასე ვარ დღემდე.



СТУЛ- МОЙ ДРУГ

...Не знаю что поделаться собой, люблю тебя и не желаю расставаться с тобой. Вчера ты поскользнулся и я подумал, что провалюсь вместе с тобой, но смог удержаться. Рукой остановил и поправил тебя. Хочу, чтоб ты вновь также стойко стоял, поскольку разлука с тобой подобна смерти.

Умения перед глазами стоит тот день, когда впервые в жизни срубил в лесу бук. Брусся хотел уложить равномерно, но не знал как. Кто только мне не помогал... даже медведь вылез из берлоги и лапой указал место, где надо было пилить, чтобы стул получился стойким и удобным. Ну а лесное единство вам наверное известно. Все были рядом со мной – лиса врала, волк скалил зубы, соловей сладко заливался, змея пыталась ужалить.....

Только коснулся расстилала мне под ногами траву, чтобы нам обоим легко было бы ходить по лесу. Дорога оказалась долгой и трудной. Закончился лес, но дорогу загородили скалы, водопады... И наконец то мне помог маленький паренёк, который подарил мне волшебную свирель, играющую „Грустную“ и „Радостную“ мелодии. Стоило стулу пошатнуться, я начинал играть „Грустную“ мелодию и друзья всегда были рядом, всегда выручали меня, а если стул стоял устойчиво, играл и играл „Радостную“ мелодию. И так продолжаю по сей день.



ნაპირი

მთიდან გადმოიხედა და გაუკვირდა, მდინარის ნაპირი უნაპირო ჩანდა. ჩამოუშვა ნაწნავი შავი, გრძელი და უძირო. გამოათანა სევდა, ურვა და ტანჯვის ფოთლები, ლერწმის კონებად შეკრული. ნაწნავი სამ რკალად, გული ორ ხაზად, ნაპირი კი უნაპირო სიგრძედ ქცეული, ღამეული და მთვარეული. ჩამოუშვა მართვეს ფრთები, სუფთა და მრავალტანჯული. გამოათანა სისხლი და ცვრის ნამი.

მთიდან კვლავ გადმოიხედა. ახლა ნაპირი უნაპირო აღარ იყო. შევსებულიყო იგი ადამიანთა გვამებით, ცხოველთა ჩონჩხებით, გატაცებულ ქალთა და მოტაცებულ ბავშვთა პანაწკინტელა გულებით, ზღვის ნიჟარებით, ოქროს თევზებითა და ზღვის ვარსკვლავებით.

მთიდან ისევ გადმოიხედა და გაუკვირდა, მდინარის ნაპირი აღარც უნაპირო და აღარც ნაპირიანი არსად ჩანდა. განათებულიყო ქვეყანა, შეცვლილიყო ნაპირი, აბიბინებულიყო მინდორ-ველი, გაჩახჩახებულიყო მზე, ყურძნის მტევნები ოქროსფრად ლიც-ლიცებდნენ ვენახებზე.

მხოლოდ ნაწნავი შავი, გრძელი და უნაპირო, უძირო, შეკრული სამ რკალად, სამი ზილფი დაშლილიყო.... ნაწნავის ერთ ზილფს ქარი მთელ დედამიწაზე დააქროლებდა, ყველა მდინარის, ზღვის, ოკეანის და პატარა ნაკადულის პირას, თითო თმის ღერს ამოაცლიდა და ააფრიალებდა. ნაწნავის მეორე ზილფი, ცაში დაფრინავდა – მზე ხან სწვავდა, ხანაც კიდევ ღრუბლებიდან გადმოსული წვეთებით აპკურებდა, სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე მისულს ...მხოლოდ მესამე ნაწნავის ზილფი იყო უსასრულო და უძირო, როგორც უნაპირო ნაპირი ჩვენი ცხოვრებისა.

მთიდან გადმოიხედა და გაუკვირდა, მდინარის ნაპირი უნაპირო ჩანდა. ცხოვრება ჩვენი კი უსასრულო, როგორც მიუწვდომელი ნაპირი.

ღამისა და დღის გასაყარი

..... და მოდიოდა ფიქრები, არ მოსული. ფიქრები გულის შემძვრელი. ფიქრები სულის სისპეტაკეზე და ხორცის სიღუბჭირეზე. არავინაა დამნაშავე იმაში, რომ ჩემი საყვარელი მუხის ხის ფესვებს საზარელი ჭიები დაეპატრონენ. შემოეხვივნენ. შემოუჭირეს კანაფებივით ვიწრო ფეხები და ისე ნასკვავენ კვანძს, გეგონებათ სისხლი უნდა ამოსწოვონო. ვერავინ გაგიგებს მის ქვეშ რა ხდება. ფესვები მიწაშია ჩაფლული, ზევიდან კი ფხვიერი, ნოტიო და რაღაცნაირი სუნის მქონე მიწა აყრია. ვერც იმას მიხვდები რისი სუნი აქვს სუნი და არა სურნელი-ზოგჯერ სიმყრალის, ზოგჯერ სიმშრალის, ზოგჯერ გადმობრუნებული გულ-ღვიძლის და ზოგჯერ კი ყვავ-ყორნების, რომლებიც სასტიკად ძიძგნიან ფესვებში არსებულ გულს. იმ გულს, რომელიც მუხას ერთ პატარა ფესვთან ერთად გარეთ დარჩენია. ამოუყრია მიწიდან ფესვი და იცქირება დღისა და ღამის გასაყარზე... ვინ იცის, იქნებ დღის ნათელმა კარგი სულის ადამიანი მოუყვანოს სტუმრად და აღარ დასჭირდეს ღამის ფიქრების გამოვლა. ღამის, სადაც სიბნელეში ირევიან და გზა ვერ გაუგნიათ სიმხდალეს და ამპარტავნებას, სიღუბჭირეს სულისას და სიავეს გულისა, შურსა და ბოღმას, ბოროტებას.

.....და მაინც მოდიოდა ფიქრები, არ მოსული. ფიქრები გულის შემძვრელი. ფიქრები სულის სისპეტაკეზე და ხორცის სიღუბჭირეზე. ვერავინ ეხმარებოდა, თუმცა დახმარებასაც არ ითხოვდა, ისე იყო ჩაფლული იმ ცხოვრებაში, რომელიც თავად სიცოცხლე ეგონა, სინამგილეში კი მისი სიკვდილ-სიცოხლის მიჯნა გახლდათ დღისა და ღამის გასაყარი, სიკეთისა და ბოროტების საწყისი, ზღაპრის კეთილი დასაწყისი და ლეგენდა გაურკვეველი დასასრულით.

....და კვლავაც მოდიოდა ფიქრები, არ მოსული. ფიქრები გულის შემძვრელი. ფიქრები სულის სისპეტაკეზე და ხორცის სიღუბჭირეზე. ფიქრები დღისა და ღამის გასაყარზე.

ჩუმი ალერსი

მზესაც დავთრგუნავ და გაგთანგავ ჩუმი ალერსით,
ბებერ ნიავსაც შევაჩერებ მთის კენწეროზე,
თუ ჩემი გრძნობა ჩაინვება შენს ლურჯ თვალებში
და მზე საყვედურს არ დამალავს მის სამრეკლოში
მაშინ მოგპარავ მაგ თვალების სხივების ციმციმს,
ჩაგეკონები უცხო ხალხთან და საიდუმლოს გაცემ ჩვენი სიყვარულისას.
ო, არა, არა, შემეშინდება ისევ მერე მე ამ ცხოვრების,

და მზესაც ველარ შევეჭიბრები,
ვერც მას დავთრგუნავ და გავთანგავ ცხელი ალერსით
ის თავად მოვა და გადმოგცემს საიდუმლოს ამ სიყვარულის.
ჩამოარიგებს ირგვლივ მწველ კოცნას,
შევეჭიბრება სიყვარულის ერთგულებაში, სიმხურვალეში,
მერე კი ლოყას დააჩნდება ოქროსფერ ლაქად
მისი ალერსი.

დარდი

მინდა ფეხდაფეხ მივყვე დარდს. მივყვე და ვნახო სად ცხოვრობს?
ჩემთან რომ მოვიდა რა გამოიარა.
ჩემი სოფლის ორღობეში მორღვეული ღობე თუ ნახა?
ჩემი მთის მწვერვალზე ჩატეხილი საფეხური?!

მინდა ფეხდაფეხ მივყვე დარდს. მივყვე და ვნახო სად ცხოვრობს?

სად ნახა მკვდარი ზღვა და გატეხილი მოღბერტი, კალამი, რომელშიც მელანი არ
ესხა.

მინდა გავიგო სად ცხოვრობს დარდი და ჩემთან რომ მოვიდა რამდენი რამ ნახა.

როგორ იპოვა ტაძართან დარგული სიკეთის ხე და ლამაზი ვარსკვლავი.

რატომ დაივიწყა მზის სხივის სილალე და აფრიანი ქალღალღის ყვავილი.

მინდა ფეხდაფეხ მივყვე დარდს. მივყვე და ვნახო სად ცხოვრობს?

ჩემთან რომ მოვიდა რა გამოიარა.

სიყვარულს მოჰყვა თუ უზარმაზარ იარას?

რა ვიცი..... მინდა უბრალოდ ვიცოდე,

სად ცხოვრობს ეს დარდი ამდენი რომ იარა!!!!

Voglio essere sempre al passo col

crepacuore.

Seguirlo e vedere dove vive, cosa ha attraversato venendo da noi. Ha visto il recinto rovinato della mia campagna o il gradino rotto sulla mia montagna?

Voglio seguire il crepacuore e vedere dove vive! Dove ha visto il mare morto, il cavalletto rotto e la penna senza inchiostro ? Voglio capire dove vive e cosa incontra venendo da noi, quante cose vede? Come ha trovato l'albero perso della bontà e una bellissima stella, vicino al tempio . Perché ha dimenticato l'affascinante raggio di sole ed il fiore di carta con il velo.

Voglio seguirlo ad ogni passo e vedere dove vive, cosa vede venendo da noi? Il crepacuore come ha trovato la strada verso di noi: ha seguito l'amore o il grandissimo dolore?

Non lo so, voglio semplicemente sapere dove vive questo crepacuore, che ha camminato così tanto ?!

მოთმინება და ერთგულება

სადღაც, ღრმა ჭრილობიდან, შორიდან მოდიოდა ზღვა მოთმინება, რომელიც ასე მჭირდებოდა. ფეხი დავადგი თუ არა მიწას, ვიგრძენი, როგორ ჩავეფლე... თითქოს ისიც, უეცრად მომიახლოვდა ჭაობის საცეცებიტა და ლიანების გრძელი ფოთლებით. პულსი მომისინჯა, ხელი მომითათუნა რბილ ხორცზე, ალაგ-ალაგ ჭრილობასაც შეეხო და როცა სისხლის სუნი იგრძნო, ფეხი დამადგა... მაგრად, რაც შეიძლებოდა მძიმედ, რათა ძვალი და რბილი **გავერთიანებია** და უფრო მწარედ მეგრძნო, რომ ავად ვიყავი, რომ სული და ხორცი მტკიოდა... და რომ მარილის დაყრაც აღარაფერი იყო იმ ჭრილობისათვის, ჩემს სხეულში მოთმინების ველს და ერთგულების ჯაჭვს რომ ჩაეწნა. ჰოდა, ამიტომაც, ჭრილობა კვლავ გრძელ, უნაპირო, უძირო იარად რჩებოდა. მოთმინებამ გზა ვერ გაიკვლია, სიყვარულის ნერგი გახმა, სითბომ მხოლოდ გვიმრის უყვავილო ფოთლები აღმოაცენა... ტყუილად მეგონა მარილს შეეძლო გაეღვიძებია მიძინებული გრძნობა, ამგვარი ტკივილიტა და სიმძაფრით ჩანერგილი. არც მარილი და არც მლაშე წყლის წვეთები აღმოჩნდა საკმარისი ტკივილის გასამძაფრებლად... იქნებ ერთგულებას ეშველა, მაგრამ ის ხომ ჯაჭვით იყო დაბმული და დღენიადაგ რაღაცას ელოდებოდა. ვერავინ გაიგებდა, რას ფიქრობდა გულში... მოთმინებასა და ერთგულებას ფეხები ჯაჭვით ჰქონდა შეკრული: გულიც, სასუნთქი არტერიაც... ყველაფერი, ყველა ორგანო ერთი გრძელი ჯაჭვით იყო გადაბმული, რომელიც რგოლებისაგან შედგებოდა... შემოეჭდებოდა ეს რგოლები ჭრილობას ისე, როგორც ამირანს უწყვეტი ჯაჭვი და იწყებოდა ბრძოლა სიკვდილ-სიცოცხლისათვის. ყოველ წამს იმედი უცრუვდებოდა ჩემს ჭრილობას... ჯაჭვით დაბმულიც კი ელოდებოდა... სიცოცხლის უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ერთგული, დიდი მოთმინებით ელოდებოდა.

ნეტავ, როგორ უნდა შეხორცებულიყო იგი? არავინ უწყოდა. მოწვეთავდა უწყვეტ ნაკადად ჭრილობიდან შლამი, ბალღამი, შური და ბოღმა.

ჭრილობა კი ცდილობდა განწმენდას ერთგულებისა და მოთმინების ლოდინით... მე კი მაინც ვფიქრობ, ჭრილობის განწმენდა მხოლოდ ვარსკვლავთა ციმციმში, მთვარის ნათელ ფერთა ციაგში, მზის სხივებით განათებულ გზაზე სიარულსა და უფლის სიყვარულის აღმოჩენის დროს მოხდებოდა.

სადღაც, ღრმა ჭრილობიდან მოდიოდა ზღვა მოთმინება, რომელიც ასე მჭირდებოდა...

ეხლა კი, ფეხი დავადგი თუ არა, ვიგრძენი როგორ ჩავეფლე...

ეპიტაფიები

Эпитафии

ვქარგავდი

ვქარგავდი. თეთრ ტილოზე წითელი თვალი ამოვიყვანე, სისხლივით წითელი თვალი, სადაც სიკვდილის ხაზები იყო მონიშნული. ჯერ სასაფლაოს ფანჯრები დავასუფთავე, შემდეგ მარმარილოს, ქვათა სულეთს, მტვერი ჩამოვწმინდე. ფერფლი ჰაერში გაიფანტა და სისხლის წვეთები უფრო რეალური გახადა. ახლა ტილოზე, თვალის ფორმას, პატარა-პატარა ბურთებიც მიემატა, ბებიების, ბაბუების და წინაპართა ცოდვები და აჩრდილები.... ვქარგავდი..... ვქარგავდი დღეც და ღამეც... ვქარგავდი ღამეც და დღეც... მეგონა წითელი ფერით მთლიანად დაიფარებოდა სითეთრე, რომელსაც ყველა ფერი ირევს რაც კი არსებობს ბუნებაში... მაგრამ ამაოდ.... არც თეთრი ირევდა იმ წითელს, რომელსაც რატომღაც ცოდვების მძაფრი სუნი ასდიოდა..... ბებიების, ბაბუების და წინაპართა ცოდვები და აჩრდილები... ნაქარგი კი მაინც თეთრი გამოდიოდა სრულიად თეთრი.... უბინო და უმნიშვნელო.... ბებიების, ბაბუების და წინაპართა ცოდვებისა და აჩრდილებისგან თავისუფალი. ვქარგავდი.კვლავ ვქარგავდი-დღეც და ღამეც, ღამეც და დღეც.

არ უშავს რა

ქვედაბოლოზე ელვა გაქვთ გახსნილი ქალბატონო?!

არა უშავს რა.

მაისურზე თვლებია წასული?!

არა უშავს რა.

თმები აგბურგძვნიათ და არ გიხდებათ ქალბატონო?!

არა უშავს რა.

ოთახში იატაკზე ნამცეცებია დაყრილი?!

არა უშავს რა. პატარა თაგუნები მოვლენ და შეახრამუნებენ.

დაათვალიეროთ ფოტოები, ნახეთ რა ლამაზი ხართ?!

..... არ მინდა გენაცვალე, ვერ ხვდები, რომ დაგბერდი... მოვხუციდი მე უკვე კარგა ხანია... გაიგონეთ და შეიგნეთ!

.....თქვენც დაბერდებით და თქვენი საყვარელი სიტყვა იქნება-არა უშავს რა!

ზარი

(ლიტერატურული კონკურსის „ოდეონის“ ერთ-ერთი გამარჯვებული მინიატურა)

შორიდან მოსულ ზარის ხმას მოჰყვებოდა შენი სევდა ცოცხლად დამარხული ცხოვრებისა.

ფანჯრები მოიხურე და შინ ჩაიკეტე.

კედლები ისე მოხატე, თითქოს გარეთ არასოდეს ყოფილხარ. არ გინახავს მეზობლის ფერადი ტანსაცმელი, მუდამ მწვანე თოვზე გაფენილი.

არ შეგიგრძენია ყავის სურნელი, სიტკბოების მომასწავლებელი.

არ შეგისვამს ბადაგი სიყვარულისა.

უარყავი გაბათხულის მოახლოება, ყვავილების ჩურჩული და ჩიტების ჭიკჭიკი.

ზამთრის სიცივეს მიენდე, გაიყინე.

უბრალოდ ფანჯრები მოიხურე და შინ მიიმალე. ფარდებზე წითელი პეპლები მიამაგრე გარეთ რომ არ გაფრენილიყვნენ და შენს მარტოობას სისხლის წვეთებივით შეერთებოდნენ.

ასე იჯექი უნაპირო სევდასთან, სიღარიბესთან, ორ ლუკმა შიმშილთან და მოუნელებელ ტკივილთან ერთად. ასე იჯექი მყინვარწვერივით ამაყი, ზვიადი და არ უსმენდი ცად აზიდულ მთების ხმას, ქუჩების ხმაურს, მატარებლის გაბმულ კვილს, ვერ გრძნობდი ახალშობილის თბილ სურნელს.

არ გივლია მთვარიან ღამით და ვარსკვლავებით მოჭედილი ცისთვის უსასრულო ოცნებითა და ნატვრით არ შეგიხედავს.

უბრალოდ ფანჯრები მოიხურე და შინ დაჯექი.

შინ, სადაც არ შემოდისოდა ხმები.

შინ, სადაც არ იყო სიხარული.

შინ, სადაც არ რეკავდა ზარი.

შინ, სადაც დახურული იყო ფანჯრები.

შინ, სადაც არ ისმოდა ზარის ხმა, იმ ზარისა, რომელმაც შეცვალა შენი ცხოვრება.

შორიდან მოსულ ზარის ხმას მოჰყვებოდა შენი სევდა ცოცხლად დამარხული ცხოვრებისა.

ეს ხმებიც გაქრა, როგორც ცის ნამი, პირველი თოვლი, ციციანათელას ხანმოკლე სიცოცხლე, გაუზიარებელი სიხარული და ცალმხრივი სიყვარული.

აღარ მოდის შენთან ზარის ხმა.

უბრალოდ ფანჯრები მოიხურე და შინ ჩაიკეტე.

და მაინც, შორიდან მოსულ ზარის ხმას, მოჰყვებოდა შენი სევდა, ცოცხლად დამარხული სიყვარულისა.

ეპიტაფია ბეჩავი ქალის საფლავზე თქმული

....ბეჩავი ქალი ვყოფილიყავი როგორ მინდოდა,
რომ მომეყოლა ის ისტორია, როგორ დამჩაგრეს,
როგორ გამთელეს და ხელები გადამიმტვრიეს საკუთარ ფარზე.
როგორ მოვიდა დევი უსულო და წამიყვანა საკუთარ სახლში,

ჩამსვა მის რქაში, მარცხანა მხარეს ამოზრდილში და გამაჩერა დიდხანს, დიდხანს
დალამებამდე, ვარსკვლავების აღმოჩენამდე.
...ბეჩავი ქალი ვყოფილიყავი როგორ მინდოდა,
რომ მომეყოლა ის ისტორია როგორ მომაჭრეს სხეულიდან ის ნაწილები, შენთვის რომ
მინდოდა, შენთვის რომ მომქონდა.
როგორ მატკინეს უვნებელი ჩემი სხეული.
...ბეჩავი ქალი ვყოფილიყავი როგორ მინდოდა,
რომ მომეყოლა ეს ისტორია, ან არ მომეყოლა, რადგან ბეჩავი ქალი არავის უყვარს.
მე კი მიყვარს ბეჩავი ქალი და ამიტომაც მინდოდა ბეჩავი ქალი ვყოფილიყავი.
როგორ მინდოდა დაგეჭურათ ჩემი სიმართლის,
ჩემი ტყეების სიმშვენიერის,
მდინარეთა ცისფერი წყლების.
ჩემი ტბების უძირობის,
ჩემი კლდეების მწვერვალების,
ჩემი ვარსკვლავების,
ჩემი სიხარულის,
ჩემი ხშირი წვიმების და გადაუღებელი თავსხმა წინწკლების
სიყვარულის.
მაგრამ მე მართლა ერთი ბეჩავი ქალი ვარ,
რომელსაც საგმირო ისტორიის მოყოლა უნდოდა თქვენთვის!

Эпитафия к могиле бедолаги

...Как же мне хотелось бы быть бедолагою,
Чтобы рассказать вам историю о том, как притесняли меня,
Как растоптали, переломав руки на собственном щите.
Как появился бездушный дэви и, забрав меня к себе в дом,
Посадил в собственный, проросший рог, с левой стороны
И продержал там долго, долго – до наступления ночи... До обнаружения звезд...
...Как же мне хотелось бы быть бедолагою,
Чтобы рассказать историю о том, как отрезали мне те части тела, которые я желала
для тебя, неся тебе,
Как причинили боль непорочному телу моему.
...Как же мне хотелось бы быть бедолагою,
Чтобы рассказать, или не рассказывать эту историю, так как обездоленных не любит
никто.
А я люблю несчастную бедолагу, да поэтому и захотелось стать ею.
Как же я хотела, чтобы вы поверили в мою правоту,
В красоту моих лесов,
Голубые воды рек,
Бездонность моих озер,
Вершины моих скал,
В мои звезды,
В мою радость,
В мою любовь к брызгам затяжных капелек частых проливных дождей...
Но я и вправду простая горемыка,
Которой захотелось раассказать вам геройскую историю!

ეპიტაფია გლეხი ქალის საფლავზე

მე დავიბადე ამ სოფელში, იმ მიწაზე, სადაც ახლა თქვენ დგახართ.
მე დავიბადე ბედნიერი, თან უბედურიც.
ბედნიერი იმით, რომ ამ სოფელში, მიწაზე ერთნაირად დავაბიჯებდით მთელი სიცოცხლე
მეც და ჩემი შვილებიც.
ჩემი ბებია და ბაბუა,
ჩემი დიდი წინაპრები,
და ჩვენთან ერთად პატარა გოჭებიც .
დიდი ღორები დინგით მიწას თხრიდნენ,
ძროხები ძოვდნენ ბალახს,
ცხენები დათარეშობდნენ,
მე კი მუდმივად ამ მიწაზე წყლით სავსე ტოლჩებს ვეზიდებოდი სახლისაკენ.
იმ სახლისაკენ, სადაც მე დავიბადე ბედნიერ, თან უბედურიც .
ბედნიერი იმით, რომ ჩემი სახლის გვერდით უზარმაზარი მდინარე ჩუხჩუხებდა.
უბედური იმი , რომ ჩემი სახლის ონკანში წყალი არ მოდიოდა.
მე დავიბადე ამ სოფელში, იმ მიწაზე, სადაც ახლა თქვენ დგახართ.
დავდიოდი ოღრო-ჩოღრო გზებზე და არ ვიცოდი, რომ ქვეყნად არსებობდა ლამაზი და
სწორი გზები.
თუმცა რა.
ყოველ დილით, განსაკუთრებულ მზის ამოსვლას ვხედავდი,
თეთრ ფუმფულა ნისლეებში და ახალმოწველილ რძის სურნელში ვიძირებოდი
და დაისტან ერთად ტკბილად ვიძინებდი.
ღამე კი, როცა თვალს გავახელდი, ისეთი ვარსკვლავებით მოჭედილ ცას ვხედავდი,
რომელიც მხოლოდ ამ სოფელში იყო.
მე დავიბადე ამ სოფელში, იმ მიწაზე, სადაც ახლა თქვენ დგახართ .
მე დავიბადე ბედნიერი, თან უბედურიც .
ბედნიერი იმით, რომ
ჩემმა შვილებმა შრომა ისწავლეს.
ჩემმა შვილებმა სალაღობო ენა ისწავლეს.
ჩემმა შვილებმა სხვისი პატივისცემა ისწავლეს.
და დავდიოდი ბედნიერიც და უბედურიც იმით, რომ არ ვიცოდი რა მელოდა აქ.
ახლა კი ვხვდები, რომ ვიყავი უსაზღვროდ ბედნიერი ჩემი მიწის და მთის მოსიყვარულე,
მაგრამ უბედური.
თავად განსაჯეთ, რით ვიყავი ბედნიერი და რით უბედური.
მე დავიბადე ამ სოფელში, იმ მიწაზე, სადაც ახლა თქვენ დგახართ
ავაშენე პატარა სახლი უაგუროდ, უწყლოდ, მხოლოდ ქვიშით და სიყვარულით,
რომელსაც ვაზავებდი მარილით, რომელიც მოჰყვებოდა ჩემს ოფლს და მტვერით,

რომელიც მოჰყვებოდა მერცხლის ბუდეს.
ამიტომაც დამეტყო სახეზე ნაოჭი, ხელებზე მკვეთრი ხაზები და მოვიხარე რკალივით.
თავად განსაჯეთ, რით ვიყავი ბედნიერი და რით უბედური.
მე დავიბადე ამ სოფელში, იმ მიწაზე, სადაც ახლა თქვენ დგახართ!

Эпитафия к могиле крестьянки

Я родилась в этой деревне, на той земле, где вы сейчас стоите.
Я родилась счастливой, но и несчастной также.
Счастливой тем, что в этой деревне, по этой земле всю жизнь ступали и я, и мои дети,
Мои бабушка с дедушкой,
Мои предки,
И вместе с нами – маленькие поросята.
Взрослые свиньи копали землю рылом,
Коровы паслись на пастбищах,
Лошади резвились,
А я постоянно ходила по этой земле, неся в дом кружки, наполненные водой.
В дом, где я родилась счастливой, но и несчастной также.
Счастливая тем, что рядом с моим домом журчала огромная река.
Несчастливая тем, что в кранах моего дома не текла вода.
Я родилась в этой деревне, на той земле, где вы сейчас стоите.
Расхаживала по ухабистым дорогам, не ведая, что на свете также существовали
красивые и ровные дороги.
Хотя:
Каждое утро встречала необычайный восход солнца,
Утопала в белом пушистом тумане, вдыхая аромат свежесвыдоенного молока,
И вместе с закатом засыпала сладко.
А ночью, раскрывая глаза, видела усеянное звездами бесподобное небо, какое бывало
только над этой деревней.
Я родилась в этой деревне, на той земле, где вы сейчас стоите.
Я родилась счастливой, но и несчастной также.
Счастливой тем, что:
Мои дети научились трудиться,
Мои дети научились здороваться,
Мои дети научились уважать других...
Так и расхаживала я, не зная, что ожидало меня здесь, счастливая и несчастная этим.
Сейчас то понимаю, что была безмерно счастлива, любя свою землю и горы, но и
несчастлива тоже.
Посудите сами, чем же я была счастлива, а чем - несчастна.
Я родилась в этой деревне, на той земле, где вы сейчас стоите.!
Я построила маленький домик без кирпича и воды, только из песка и любви, которую
разбавляла солью моего пота и пылью гнезда ласточки.
Поэтому я и согнулась в дугу, появились морщины на лице и резкие линии на руках.
Сами посудите, чем же я была так счастлива, а чем – так несчастна.
Я родилась в этой деревне, на той земле, где вы сейчас стоите.



ექო

ნელ-ნელა ახლოვდება ზაფხულის ექო, მოსული ომიდან.
მიახლოვდება მშვიდობა მოსული ზაფხულის ხვატიდან.
ნელ-ნელა ახლოვდება ტკივილი, მოსული სხვა სამყაროდან,
ტკივილი მოსული აგვისტოს გულიდან, როგორც შორეული ექო წარსულისა.
ექოს, უცნაურ ხმაურს ომისას, ჩემი ხელის გაშლილ მტევნებს ვახვედრებ, როგორც
ყურძნის მტევნებს ახვედრებს მიწა საზრდოს და ისევ ინახავ ტყვიების სეტყვას გულში,
მამაცი ჯარისკაცების ღიმილთან, ტანკების გრუხუნთან, მიწის ყვილთან, ცრემლთან,
ტანჯვასთან და გამარჯვებასთან ერთად.
იმ გამარჯვებასთან, რომელიც არც მოსულა და ისე გაიფანტა, როგორც იმ საშინელი
ზაფხულის ექო, როგორც უცხო სიყვარულის ნარჩენები.
ნელ-ნელა იპარება ზაფხულის ექო, მოსული ომიდან.
ნელ-ნელა იპარება მშვიდობის გრძნობა მარადი სიყვარულისა და იმედისა.
ნელ-ნელა იპარება ზაფხულის ხვატიც, რათა დადგეს შემოდგომა და მას მოჰყვეს
ზამთარი. ზამთარი ცივი, ზამთარი უტყვი, ისეთივე ცივი, როგორც ომი ჩვენი თვალებისა,
ექო წარსულისა, აჭრილი ვაზებისა და სიცივე ჩვენი ხელის მტევნებისა.
ექო.
ექო არმიცემული სალამისა, არდაბადებული ქართველისა, არ გაღიმებული აფხაზისა
და ოსისა, უშუქოდ და უწყლოდ გატარებული ცხოვრებისა, უშვილოდ დარჩენილი
დედისა.
ექო ცხოვრებისა!
სწორედ ეს ექო იბრძვის თავგანწირვით ომში მშვიდობის მოსაპოვებლად. იქ სადაც ომი
და მშვიდობა ძმები არიან, იქ სადაც ომი ზავს დებს ჩვენს გულებთან, რომ არასოდეს
იყოს ომი
შენს სახლში,
ჩემს სოფელში,
შენს გულში,
ჩემს ქალაქში,
ჩემს ქუჩაში,
ჩემს და შენს ქვეყანაში, რომ ეს ექო სადღაც დაიკარგოს სამუდამოდ.....
ნელ-ნელა იპარება ზაფხულის ექო, მოსული ომიდან.
ნელ-ნელა იპარება მშვიდობის გრძნობა მარადი სიყვარულისა და იმედისა.



Эхо

Медленно приближается летнее эхо, доносящееся с войны.

Близится мир, уцелевший от летнего зноя.

Медленно наступает боль, сошедшая из других миров, -

Боль, доходящая из сердцевины августа, как эхо далекого прошлого.

Странный шум войны - эхо, встречаю раскрытыми кистями моих рук так, как гроздь винограда встречают посланный землей корм, храня в сердце вместе с градом пуль, улыбки отважных солдат, грохот танков, зов земли, слезы, страдание и победу. Ту победу, которая рассеялась, так и не появившись, как эхо того страшного лета, как остатки чужой любви.

Медленно ускользает летнее эхо, доносящееся с войны.

Медленно уходит спокойное чувство вечной любви и надежды.

Медленно отступает и летний зной, чтобы наступила осень и за нею последовала зима. Холодная, молчаливая зима. Такая же холодная, как и поединок наших глаз, как и эхо прошлого, как и боль подрезанной виноградной лозы, как и холод наших ладоней.

Эхо.

Эхо непосланных приветствий, оставшейся без сына матери, нерожденного грузина, не улыбающегося абхазца и осетина. Эхо жизни, проведенной без света и воды.

Эхо жизни.



ეპიტაფია ეტლი

სად წაიღეთ ჩემი ეტლი? ჩემი ცხოვრების თანამგზავრი?

განა მის გარეშე მე აქ ყოფნას შევძლებ?
ეტლი ჩემი დაგორავდა უსწორმასწორო გზებზე, აგროვებდა ზიზღიანი თვალების
ელვარებას,
სინანულის გამოკრთომას,
სიძულვილს, შიშს და ცოტაოდენ სიყვარულს,
სულ მცირე მარგალიტებს სიყვარულისას.
ეს მარგალიტები კი მხოლოდ დედის თვალებიდან მოდიოდა და როცა დედა წავიდა
დაპატარავდა ეტლი ჩემი,
დაჩიავდა საბურავები, გაიღუნა რკინის დერძები ...
სად წაიღეთ ჩემი ეტლი? ჩემი ცხოვრების თანამგზავრი?
განა მის გარეშე მე აქ ყოფნას შევძლებ?!

Эпитафия

Куда вы подевали мою коляску? Моего спутника жизни?
Разве я смогу находиться здесь без него?!
Моя коляска колесила по неровным дорогам, Собирая сверкание брезгливых глаз,
Проблески сострадания,
Ненависть, страх и немного любви,
Самые малые толики бисера любви.
Да и эти жемчуга исходили только из глаз матери,
А когда мать ушла, уменьшилась и моя коляска,
Ослабли покрышки, прогнулись алюминиевые стержни...
Куда же вы подевали мою коляску? Моего спутника жизни?
Разве я смогу находиться без него здесь?!

ეპიტაფია ყასაბი.

დანა, რომლითაც ვატყავებდი საქონელს ისეთივე ბასრი გახლდათ, როგორიც ადამიანთა ენები, საქონლის ხორცის საყიდლად მოსულნი და მოლაპარაკე. დანა, რომლიც სულ თან დამქონდა, ერთნაირად კლავდა პატარა გოჭუნას, ხბოს, ძროხას, ცხვარს და ადამიანის გულს.

დანა, რომლითაც ძვალსა და ხორცს ვაცლიდი ერთმანეთს, ვაშორებდი და ვაცალკევებდი, ისეთივე მწარე იყო, როგორიც ადამიანის ტკივილი.

ეს დანა არასოდეს ბლაგვდებოდა, იმიტომ რომ მე ყოველდღე ვლესავდი, ვლესავდი და ვლესავდი მას, რათა კვლავ მომეკლა, გამეტყავებინა, დამეჭრა და დამენაკუნებინა სინამდვილე არსაიდან მოსული.

დანა, რომლითაც მე ვმუშაობდი, თან ჩამატანეს, რათა არ დამვიწყებოდა, რომ დაბადებას გარდაცვალება მოსდევს, სიხარულს ტკივილი, ბედნიერებას უბედურება, ღლეს ღამე და მზეს მთვარე.

დანა? დანა, რომლითაც ვატყავებდი საქონელს ისეთივე ბასრი გახლდათ, როგორიც ადამიანთა ენები, საქონლის ხორცის საყიდლად მოსულნი და მოლაპარაკე.

.....მაგრამ დანა ეს, საჭრეთელი იყო ჩემი, ჩემი სიყვარულის ჩუქურთმა, ჩემი სიხარულის ნაქარგი, ჩემი ხეხილის დამყნობი, ჩემი ვაზის ყლორტის წამალი და ჩემი ბედნიერების საძირკველი.



Эпитафия мясника

Нож, которым я свеживал скот, был таким же острым, как и языки людей, проходящих покупать мясо, торгуясь со мной.

Нож, который я всегда носил с собой, одинаково убивал маленького поросенка, теленка, корову, овцу и человеческое сердце.

Нож, которым я разделявал мясную тушу, отделяя от костей, был таким же горьким, как и человеческая боль.

Этот нож никогда не тупел, потому что я каждый день точил и точил его, чтобы вновь и вновь убивать, обдирать и резать на куски пришедшую ниоткуда действительность.

Нож, которым я работал, положили мне в могилу, чтобы не забывал, что за рождением следует смерть, за радостью-боль, за счастьем -горе, за днем - ночь и за солнцем - луна. А нож?

Да нож, которым я свеживал скот, был таким же острым, как и языки людей, проходящих покупать мясо, торгуясь со мной.

..... Но зтот нож был моею стамескою, орнаментом любви моей, гладью радости моей, прививальщиком моих плодовых деревьев, лекарством ростков моей лозы и основой моего счастья.

ბებოს საფლაგზე წასაკითხად!

ჩემს ბებოს არ ჰქონდა მაქმანიანი პერანგი, არც ჭრელი, პეპლებიანი სარაფანი, არც განჯინა, სადაც ულამაზესი სკივრი იდო, რომელშიც წერილებს ინახავდა. უბრალო ქვედატანი ეცვა და ცისფერი მაისური. ულამაზესი თვალეები კი მწვანედ უბრწყინავდა. მან ოთხი ენა იცოდა-ქართული, რუსული, სომხური და ქურთების, მეფობეების ენა. იმ ხალხის ენა, რომლებსაც ყოველ დილით ესაუბრებოდა. იმ ხალხის ენა, ვინც ძალიან უყვარდა. მას ერთი დიდი ოთახი ჰქონდა. ეს ოთახი მე ძალიან მიყვარდა. აქ უბრალო ავეჯი იდგა. მასთან რომ მივქროდი, დერეფნიდან ყვავილნარი მეგებებოდა. ეს ქოთნის ყვავილები არ იყო ჰოლანდიიდან. მას ჩემი ბებო ახარებდა. ეს ყვავილები სხვა ბებოებსაც უყვარდათ. მაშინ, მგონი მე არ მიყვარდა ეს უბრალო ყვავილები. ახლა მეც ბებო ვარ და მიყვარს ეს სურნელი და ამ ყვავილებს, რომ დავინახავ, გულში ნემსები **მესობა**. იქ კიდევ კამის სურნელება იდგა და ფილთაქვა ყოველთვის სავსე იყო ნიგვზიანი სურნელით.

ორი რკინის ლოგინი იდგა, ოღონდაც ერთად კი არა, ცალკე! ჰო, ახლა ვფიქრობ? ნეტა ჩვენც ასე დავდგამთ ლოგინებს მალე? ლოგინებს ძვირფასს და არა რკინისას! ასე დავდგამთ ლოგინებს მალე? ცალკე? კიდევ ვფიქრობ, რატომ არ ვნაყავ ფილთქავაში ნიგვზიან სურნელს და არ ველოდები ჩემს ბავშვობას. ალბათ მეშინია... მაგრამ ყველაფერს ვაკეთებ იმისათვის, რომ უბრალო ყვავილების სურნელებამ ჰოლანდიური ორქიდებისა და ძვირფასი ფრანგული სუნამოების სურნელი ჩაახშოს. მე ჩემი ბებოს ოთახი მინდა.

ჩემი სახლის სურნელი მინდა ისეთი იყოს, როგორც ბებოს ჰქონდა. ისეთი, რომელიც მხოლოდ ჩემი და მისია. არა, ჩემს ბებოს არ ჰქონდა მაქმანიანი პერანგი, არც ჭრელი, პეპლებიანი სარაფანი, არც განჯინა, სადაც ულამაზესი სკივრი იდო, რომელშიც წერილებს ინახავდა და ამ წერილებს წარსულის სურნელება მოჰქონდათ. არა, ჩემს ბებოს მხოლოდ სიყვარულის სურნელი ასდიოდა!!!!

Для чтения над кладбищем бабушки

У моей бабушки не было рубашки с кружевами, ни цветистого с бабочками сарафана, Ни стеного шкафа, где бы стоял красивейший сундук для хранения писем.

Она носила простую юбку с голубой майкой.

А прекрасные глаза сияли зеленым блеском.

Она знала четыре языка: грузинский, русский, армянский и курдский – язык наших дворников.

Язык тех людей, с которыми беседовала каждое утро.

Язык тех людей, которых очень любила.

У нее была одна большая комната, которую я очень любила.

Здесь стоял запах простой мебели.

Когда я спешила к ней, меня встречал аромат ее цветов, доносившийся из коридора.

И эти цветы в горшках не были из Голландии.

Цветы приживались усердием моей бабули, и их любили все другие бабушки тоже...

Тогда, кажется, я не любила запах этих простых цветов...

А сейчас, будучи бабушкой, я сама люблю этот запах, и видя эти цветы, в мое сердце вонзаются иголки.

Вон там стоял запах укропа и ступа всегда была наполнена специями с орехом.

Стояли две железные кровати, только не вместе, а отдельно. Да!

Сейчас я думаю: «Интересно, вскоре ли мы поставим наши кровати порознь?»

Кровати дорогие, а не железные!

Так и поставим кровати в скором времени? Поодиночке?

А еще думаю: «Почему же я не толку ореховые специи и не дожидаюсь своего детства?!»

Видимо, боюсь...

Но все же, все делаю для того, чтобы запах простых цветов заглушил благоухание голландских орхидей и дорогих французских духов.

Я не хочу находиться в чужом доме, да никогда и не хотела.

Я хочу в комнату моей бабули.

Хочу, чтобы мой дом благоухал так же, как и дом моей бабушки.

Благоухание, которое только мое.

Нет, моя бабуля не имела рубашки с кружевами, ни цветистого с бабочками сарафана, ни стеного шкафа, где стоял бы красивейший сундук для хранения писем, пахнувших прошлым.

Нет, моя бабушка источала только благовоние любви!!!



ჯარისკაცის ეპიტაფია

რომ მოხვედით ვგრძნობ, გული ძალუმად გიძგერთ.
რომ მოხვედით ვიცი, ჩემზე ცრემლებიც ღვარეთ.
რომ მოხვედით, ესეც ვიცი.
მომისმინეთ და თან წაიღეთ ის ნამდვილი სიყვარული,
რომელიც მე, ყოველდღე ,ამ გმირობამდე მქონდა.
უჩვეულო ღიმილიანი დილა, მიუხედავად სამშობლოდან გადაკარგვისა.
იარაღთან და ტყვიამფრქვევებთან დიდი მოთმინებით და ძალისხმევით მოპოვებული
ფრთები,
შიმშილთან და დაღლილობასთან თანაზიარი მეგობრობის ტკივილი და სიხარული.
სამშობლოს სიყვარული ჩემთან ერთად დაბადებული.
რომ მოხვედით ვგრძნობ, გული ძალუმად გიძგერთ.
რომ მოხვედით ვიცი, ჩემზე ცრემლებიც ღვარეთ.
რომ მოხვედით, ესეც ვიცი.
სიმართლე კი ის არის, რომ წახვალთ, უჩემოდ,
და გმირის მანტიას მორგებული ერთი უბრალო ადამიანის სიცოცხლე
ვიცი, კვლავ იცოცხლებს!



ЭПИТАФИЯ СОЛДАТА

Как пришли, чувствую, что сильно стучат сердца ваши.
Раз пришли, знаю, что проливали из-за меня слезы.
Знаю и о том, что вы пришли.
Выслушав меня, заберите с собой ту настоящую любовь, которую я чувствовал
ежедневно, до этого геройства.
Необычайно улыбочное утро, несмотря на затерянность где-то далеко от Родины.
Крылья, обретенные с большим усилием и терпеливым отношением к пулеметам и
оружию.
Боль и радость друзей, сопричастных к голоду и усталости.
Любовь к Родине, пришедшая ниоткуда, просто, рожденная вместе со мной.
Как пришли, чувствую, что сильно стучат сердца ваши.
Раз пришли, знаю, что проливали из-за меня слезы.
Знаю и о том, что вы пришли.
А правда в том, что уйдете без меня,
И жизнь одного рядового человека, облаченного в мантию героя ...
Знаю, что будет жить вновь!

მკვლელის ეპიტაფია

არავინ მოვა ჩემს საფლავზე.
არავინ ჩამხედავს თვალებში.
არავის ვეტყვი-რომ გულში სატანამ გაიდგა ფესვები. როგორც კინოფილმში
ისე მიდის კადრები:
პატარა გოგონა ცისფერი კაბით.
მოზრდილი ბიჭუნა სპორტული ჩანთით.
ლამაზი, თავხედი და ანცი ქალი
სიყვარულს ნატრული მზისფერი კაბით.
გამოგონილი ოჯახი,
გამოგონილი მეგობრობა.
გამოგონილი მზე.
ჩემთან კი როგორც კინოფილმში
ისევ გრძელდება კადრები:
მარტოობა. უზნეობა. უიმედობა.
დაცემულ ანგელოზთა ვედრება.
ფერები შავი და ნაცრისფერი.
ფილმი მხოლოდ შავი.
არავინ მოვა ჩემს საფლავზე.
არავინ ჩამხედავს თვალებში.
არავის ვეტყვი, რომ გულში სატანამ გაიდგა ფესვები.

სახელი

ბინა გამოვიცვალე და ქარი გამოდგა შლეგი.
ჩამიმტვრია დარაბები.
ჩამომიხია შპალერი, ავეჯიც მიღუნ -მოღუნა და წავიდა.
სახელი გამოვიცვალე და ისიც შლეგი იყო .
დაჰქროდა აღმა-დაღამა, ყველა მასზე ამბობდა, ისაა, მაგან მოკლა, დასაჯა ... გადა-
ასახლა.....
მაგან დაბადა, საკუთარი მუცლიდან ამოუშვა,მერე ჩვენთან გამოუშვა ...
ის არის!
დედ-მამა გამოვიცვალე და ატყდა აურზაური აირია შვილები ერთმანეთში,
და ძმას ველარ ცნობდა ძმა - დას.
გადავცვალე მარჯვენა ხელი მარცხენაში, რომ გული გადამეადგილებინა.
დაიწყო სისხლმა ფეთქვა ყველა აორტიდან, ვერ გაიგნო გზა და გახეთქა ეს სანყალი,
უადგილო გული.
სხეული გამოვიცვალე მთლიანად და
გადავცვალე ჭრელი მინდვრები ვულკანის ცხელ ლავაზე.
ჩანჩქერები ტორნადოებს შევუფარდე.....
კლდეები ზგრებს!
მხოლოდ სამშობლო ვერ გავიმეტე გამოსაცვლელად.
მზე, მთვარე და ვარსკვლავებიც დავტოვე.
იქნებ ჩამდაგარიყო ქარი.
იქნებ მქონოდა ბინა და იქნებ მქონოდა ეს ჩემი მართალი გული.



IL NOME

"Ho cambiato alloggio e ho incontrato il pazzo vento.

Ha sbattuto le persiane, ha strappato le pareti, ha distrutto i mobili ed è andato via. Gli ho cambiato il nome e l'ho trovato: delirante.

Volava su e giù. Tutti parlavano di lui: "E' lui... è quello... lui ha ammazzato ... lui ha punito... lui ha esiliato ... lui ha fatto nascere e poi è arrivato da noi ... è lui.." Ho cambiato i genitori ma ci siamo trovati in difficoltà ed è cominciata una cagnara.

Ho ricevuto una miscela dai fratelli e dalle sorelle e non ci distingevamo più fra noi.

Ho scambiato la destra con la sinistra per spostare il cuore. Il sangue ha cominciato a scorrere nell'aorta, ma non ha potuto trovare la strada e così ha fatto scoppiare il cuore irriverente.

Ho cambiato totalmente il corpo. Ho scambiato i campi variegati sul vulcano scoppiettante, ho correlato le cascate al tornado, le rocce ai vigneti ma...

Non ho potuto cambiare la madre patria, il sole, la luna e le stelle li ho lasciati intatti

Forse era meglio aspettare che il vento si calmasse, tenere la propria casa e il mio vero cuore!".



სიყვარული
ავტორისაგან

სიყვარულის შარფი

თავიდან, როცა სიყვარულის შარფის მოქსოვა ჩავიფიქრე, ძლივს ამოვაძრე მზისფერი დიდი გორგალიდან ძაფის წვერი და პირველი თვალი ამოვიყვანე. ჩხირები, რომლითაც ქსოვა დავიწყე გრძელი, ვერცხლიფერი რკინის ჯოხები იყო, დაბოლოებად კი პატარა ბურთები ჰქონდა, ნაქსოვი რომ ხელიდან არ გამსრიალებოდა და არ გაპარულიყო. ძნელი დარჩა პირველი ათი რიგის ამოყვანა...ამოვიყვანდი სიყვარულის თვლებს, ჩხაკი - ჩხუკი იძახდა ჩხირები უჩუმრად, მაგრამ ხმაურით. მინდოდა ჩუმად მექსოვა სიყვარულის შარფი, მაგრამ რკინის ჩხირებმა არ მომცა საშუალება სიჩუმეში ყოფნის. სიყვარულის შარფის ძაფებიდან და საჩხაკუნო ჩხირებიდან ისეთი ხმები გამოდიოდა, გეგონებოდა ფოლადი იწრთობაო. რამდენ თვალს და რიგს ამოვიყვანდი, იმდენი სასიამოვნო ჩხაკა-ჩხუკი იღვრებოდა ჩემს სულშიც. ქსოვა დიდ დროს მოითხოვს, მაგრამ კარგი განცდაა. მხოლოდ ამ ხელსაქმესთან შეგიძლია განმარტოვდე და შენი გრძნობების გორგალი თავად მოქსოვო, გინდა ათი რიგის მოქსოვის შემდეგ სულაც გადადო და კარადაში შეინახო. ხომ იცი დასამთავრებელი რომ გაქვს შარფი, გული კი მაინც სიხარულით სავსე!

-მოვა დრო და მივუბრუნდები შარფს , გაიფიქრებ და ყოველდღიურობაში გადახვალ. შარფი კი დევს მარტოდ მარტო კარადაში და თავის რიგს ელოდება.

- მომაბეზრა ამ რკინის ჩხაკუნმა თავი! რკინის ჩხირებს ხის ჩხირებით შეცვლი. ხე შენთან ერთად სუნთქავს, გრძნობს შენს მოძრაობებს და მოგყვება ისე, როგორც სიყვარულის გორგალი, ძაფი ახლა უფრო ადვილად ამოდის გორგალიდან, თოთქოს ისეთი მრგვალიც აღარ არის თავიდან რომ იყო. ისევ გვერდზე გადადებ სიყვარულს.

-ვერაფერს მიმხვდარხარ. არადა სულ შენთან გინდოდა, რომ გყოლოდა. კვლავ ყოველდღიურობაში ეფლობი.

-მოვა დრო და მივუბრუნდები შარფს !

შარფი კი დევს მარტოდ მარტო კარადაში და თავის რიგს ელოდება. ელოდება, ისევ როდის ახმაურდება მისი ჩხირები , როდის დატრიალდება სასიამოვნო გორგალი და სიყვარულის ძაფები თავისით გაიგნებენ გზას. სიცოცხლის და სიყვარულის შარფის ქსოვას დიდი დრო დასჭირდა, თითქმის მთელი ცხოვრება, გამოიწრთო იგი ფოლადივით გრდემლში, აღმოაცენა სიყვარულის ნერგები. ყველაფერი ისე მოხდა, როგორც შენ გინდოდა. ...მხოლოდ ის დრო გამეპარა ხელიდან და ვერ მივაგენი, როცა ჩემი შარფის დასრულებისას, ჩხირებზე პატარა ბურთები აღარ იყო დამაგრებული, არამედ ეს ჩხირები საუკუნო რგოლებით იყო შეერთებული და არსად გადავარდნას არ აპირებდნენ. ალბათ ამ რგოლებს ელოდებოდა მიტოვებული შარფი და გორგალი ამდენ ხანს ჩემს კარადაში. ჰოდა, ამიტომაც დავდივარ ან დავფრინავ კიდევ მაღლა -მაღლა ცაში, რადგანაც ვიცი, რომ სიყვარულის შარფი ისეთი ძაფებისაგან მოქსოვე, რომელიც არასოდეს არ გახუნდება და არ დაიშლება.

Шарф любви

Задумав связать шарф любви, вначале я провязала первую петлю, еле выдернув кончик нити из большого мотка цвета солнца. Спицами, которыми я начала вязание, являлись длинные, серебристого цвета железные палочки, с окончаниями в виде маленьких шариков, чтобы вязка не утекала, выскользывая из рук. Сложным оказалось вывязать первые десять рядов... Выводила петли любви втихомолку, но шумно, звякая спицами. Хотелось тихонько вязать шарф любви, но железные спицы не позволяли мне находиться в тиши, -- от нитей шарфа и звякающих спиц исходили такие звуки, что казалось, будто закалялась сталь... Сколько бы петель и рядов я не выводила, -- столько же приятных звяканий вливалось мне в душу. Вязание требует много времени, но это -- ощущение радостное. Только с этим рукоделием можешь уединиться и самой связать моток собственных чувств. Захочешь -- и после связания десяти рядов можешь отложить, спрятав в шкаф. Сердце все равно полно радости, хотя и знаешь, что шарф пока еще не закончен... Придет время, промелькнет мысль, что надо бы вернуться к шарфу -- и шагнешь в повседневность. А шарф одиноко лежит себе в шкафу, дожидаясь своей очереди.

Подумав: «Надоело звяканье этой железяки!», -- железные спицы заменишь деревянными. Дерево дышит вместе с тобой, чувствует твои движения, следуя за тобой, как моток любви. Сейчас нить легче отходит от мотка, и вроде бы он не такой уж и круглый, каким бывал прежде... Опять отложишь в сторону любовь, ничего не понимая... А ведь желала, чтобы она всегда была рядом. Снова проваливаешься в повседневность.

Но, придет время, и снова подумаешь, что пора бы вернуться к шарфу. А шарф лежит себе в шкафу в одиночестве и ждет своей очереди. Ждет, когда же зашумят его спицы, когда же раскрутится моток из приятных желаний и ниточки любви найдут дорогу сами собой.

Много времени понадобилось вязанию шарфа жизни, -- почти вся жизнь. Закалился он, подобно стали, и взрастил саженцы любви. Все произошло именно так, как ты и хотел... Только я упустила и не нашла лишь то время, когда к завершению шарфа, к спицам уже не были прикреплены маленькие шарики, удерживающие петли. Но эти спицы были соединены вечными кольцами и пропасть не собирались. Наверное, этих колец и ожидали шарф и моток, заброшенные в моем шкафу столько времени.

Задумав связать шарф, я еле выдернула кончик нити из большого мотка цвета солнца и провязала первую петлю.

LA SHIARPA DELL'AORE

Dopo aver deciso di lavorare a maglia una sciarpa dell'amore, affaticato ho preso il capo del filo da una grande bobina color del sole e ho fatto il primo occhiello. I bastoncini con i quali ho cominciato a lavorare erano lunghi ferri color argento, con l'estremità a forma di piccola sfera, fatti apposta per non dare la possibilità al lavoro di scappar via dalle mani. Le prime dieci righe erano difficili. Facevo gli occhielli dell'amore e i ferri tintinnavano di nascosto ma rumorosamente. Volevo lavorare a maglia la sciarpa dell'amore dolcemente, ma i bastoncini di ferro non mi lasciavano in silenzio. Dal filo della sciarpa dell'amore e dai bastoncini tintinnanti usciva una voce tale che sembrava si lavorasse con l'acciaio. Quanti occhielli e righe riuscivo a fare, tanto piacevole tintinnio si scioglieva nella mia anima. Lavorare a maglia richiede tanto tempo ma dà una sensazione gioiosa. Solo con questo lavoro puoi startene da solo e fare la maglia con la bobina dei tuoi sentimenti. Puoi anche metterlo via dopo dieci righe, sapendo che è da finire e comunque hai il cuore pieno di gioia... Verrà il momento, volerà l'idea che noi dobbiamo tornare alla sciarpa – e ti sposti nella vita quotidiana. La sciarpa sta nell'armadio e aspetta il suo turno. Penserai: "Sono stanca di questo tintinnio dei ferri " e li sostituisci con i bastoncini di legno. Il legno respira con te, sente i tuoi movimenti e ti segue come la bobina d'amore. Ora il filo si muove facilmente dalla bobina, che non sembra più essere così rotonda come prima. Ancora una volta metti da parte l'amore, che volevi tenere sempre con te ... non riesco a capire niente Cadi di nuovo nella quotidianità. Ma ritornerà il momento di tornare alla sciarpa. Ora la sciarpa se ne sta da sola in attesa del proprio turno, aspetta quando cominceranno a tintinnare i suoi ferri, quando girerà la bobina dolcemente e i fili dell'amore riescono da soli a trovare la strada. C'è voluto tanto tempo per fare la sciarpa della vita, quasi tutta la vita. Si è indurita come l'acciaio e ha piantato le piantine dell'amore. Tutto è accaduto esattamente così come volevi mamma! Soltanto quel tempo mi è scappato dalle mani e non ho trovato più, quando, finendo la sciarpa, sui ferri non c'erano più le piccole sfere, ma questi bastoncini erano collegati con gli anelli secolari e non pensavano di cadere da nessuna parte. Forse la mia sciarpa abbandonata nell'armadio e la bobina aspettavano questi anelli. E per questo, ora sto volando dalla gioia su in cielo, perché lo so che la sciarpa dell'amore che ho fatto con un filo così non perderà mai il suo colore né si scioglierà.

სარჩევი

ჩემს მკითხველებს!!	5
გიორგი აღნიაშვილი-პროზაიკოსი	6
კატო ჭავჭავაძე	7
მამუკა ესაძე	9
მინიატურები	10
სამშობლო	13
Родина	15
Patria	16
ავტოპორტრეტი	17
Автопортрет	32
ჩემი ფობიოგრაფია	47
კუ-კუ გუგუ	54
КУ-КУ... ГУ-ГУ...	55
GUGU	56
სიჩუმე	58
გადმოღი-ედღენება მწერალ თამაზ ექვთიმიშვილის ხსოვნას	60
Сиди!	61
შენ	62
არ მოიშორეთ შვილები!	65
მიმიკრია	66
ირაკლი მურგანიძეს!	68
ასე მგონია არფაზე უკრავ	70
მამას!	72
არაფერი	74
Ничто...	75
"წრნი ჰალაგ"-წითელი ჭიშკარი-ირმა კიკოლიაშვილს	76
ცისკრის ვარსკვლავი	78
ხმა	80
ალმასი	82
ჭიანჭველა	84
კოცონი	86
ჭრაქი	90
ჩემი და შენი საკერავი მანქანა	91
მონეტები	92
სკამი- ჩემი მეგობარი	94

стул- мой друг	96
ნაპირი	98
ღამისა და დღის გასაყარი	100
ჩუმი ალერსი	102
დარდი	103
Voglio essere sempre al passo col	
crepacuore	104
მოთმინება და ერთგულება	105
ეპიტაფიები	108
ვქარგავდი	109
არ აუშავს რა	110
ზარი	111
ეპიტაფია ბეჩავი ქალის საფლავზე თქმული	113
Эпитафия к могиле бедолаги	115
ეპიტაფია გლეხი ქალის საფლავზე	117
Эпитафия к могиле крестьянки	120
ექო	123
Эхо	126
ეპიტაფია ეტლი	128
Эпитафия	129
ეპიტაფია ყასაბი	130
Эпитафия мясника	132
ბებოს საფლავზე წასაკითხად!	133
Для чтения над кладбищем бабушки	135
ჯარისკაცის ეპიტაფია	138
Эпитафия солдата	140
მკვლელის ეპიტაფია	141
სახელი	142
Il nome	144
სიყვარული ავტორისაგან	146
სიყვარულის შარფი	147
Шарф л ю б в и	150
la shiarpa dell'aore	153



ციცინაიელა

ციცინაიელა ერქვა და ამიწომავს ღამე ანაიებდა. არადა, უნდოდა
დღევ დაენახათ მისი ნაიელი. სინაიელი, რომელიც მისგან
მოდიოდა ჰირველად ფერმკითალი და სუსტი იყო. გამოვიდოდა
სახლიდან, მოვლიდა სამყაროს, შეიხედავდა ფანჯრებში და თუ
სადმე სინაიელი სურდათ ზუსტად იქ მიფრინდებოდა. ეგონა
უზარმაზარი ფრთები მაქვს, ყველა მხედავსო და დაიწყებდა
ჰაჯარა, ერთმკლამეწრიანი ფრთების ფარფაფს. მაგრამ თქვენ
წარმოიდგინეთ, მართლა იბიებოდა სინაიელი, მართლა
ნაიებოდა ბნელი და იბადებოდა ლექსი, ჰომეა, რომანი, ესხე,
მინაჯურა, ნოველა და საერთოდ სიწყვა.

..... ციცინაიელა ერქვა და ამიწომავს ღამე ანაიებდა. მისი
სურვილი დღევ დაენახათ მისი ნაიელი, მეორე დღეს, ათი ან ახი
წლის, ან უკიდევ საუკუნეების შემდეგ ცხადდებოდა.

ინგა გოგინერიძე